რაც ზემოთ მოგახსენეთ, ამის წაკითხვისას წარმოიდგინეთ და იფიქრებთ: ეს ხომ საუკუნუნა ხევრის წინანდელი კახეთის რომელიღაც მიყრუებული სოფლის სურათია, ან ლუარსაბ თათქარბის ეზო, რომელიც ილიას მხედველობაში ჰქონდა სპირიდონ ჯაბადარის სახლ-კარი საგარეჯოში. XXI საუკუნეში რა გასახსენებელიაო. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, გავერკვიოთ. დღეს ზუსტად ისეთი სახლი, რომელზეც მიგანიშნეთ, ეკუთვნის დუშეთის მოქალაქეებს (1125.00 კვ.მ. მიწის ფართობი და ამ შენობის შესაკეთებელი არიან: ლიანა მ-ს 1/3 ნაწილი, მარინა მ-ს 1/3 ნაწილი, მანანა ა-ს 1 ნაცხოვრებელი ოთახი, სასარგებლო ფართი 21 კვ.მ.), რომლებმაც საეჭვო საშუალებითა და ხერხებით ხელში ჩაიგდეს ეს ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლი. დიახ, დღეს ზუსტად ასე გამოიყურება ილია ჭავჭავაძის გაპარტახებული მუხეუმი დუშეთში, რომელიც სახეიმო ვითარებაში 1968 წელს გაიხსნა. დამაჯერებლობისათვის ქართული პრესა მოვიშველიოთ. „სახლში, სადაც ამჟამად დუშეთის სახალხო სასამართლოა მოთავსებული, ილია წლების განმავლობაში ეწეოდა თავდადებულ იურიდიულ საქმიანობას. აქამდე ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს მხოლოდ მემორიალური დაფა გვაუწყებდა. საუკუნის შემდეგ კი დიდი ილიას სახელის უკვდავების დამადასტურებლად მადლიერმა შთამომავლობამ ამ სახლის ორ ოთახში მოაწყო ილიას მუხეუმი.

მუხეუმიში ძირითადად გამოფენილია ფოტოსტენდები, ფოტოსურათები, ნახატები და მათი უმრავლესობა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების დუშეთის პერიოდს ეხება. აქვე ფრაგმენტალურად გაშუქებულია ილიას დუშეთში მუშაობის წინა და მომდევნო პერიოდები და ყოველივე ეს ერთ მთლიანობაშია.

„საინტერესოა ილიას დუშეთში მოღვაწეობის ამსახველი განყოფილება. გამოფენილია კარგად შესრულებული ტილო – „ილიას დროინდელი დუშეთის საერთო ხედი“ (მხატვ. ს. კენჭაძე). აქვეა ფოტოსურათები: სახლის, სადაც ცხოვრობდა ილია, ნივთების, რომლითაც იგი სარგებლობდა დუშეთში ყოფნის დროს (კარადა, მაგიდა, სკამები და სხვ).

ძველი, ილიასდროინდელი სასამართლოს შენობის ფოტოა წარმოდგენილი, ს. კენჭაძის მხატვრული ტილო – „ილია სასამართლო პროცესზე“, ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია ილია გლეხებს შორის დუშეთის კანცელარიის ეზოში. აქვეა მემორიალური ნივთების ფოტოსურათები – მომრიგებელი მოსამართლისა და მომრიგებელი შუამავლის სამკერდე ნიშნები, ილიას ნაქონი კალმის-ტარი“.

„აქვეა ფოტოსურათები „ილია დუშეთის ინტელიგენციას შორის“, „ილია თავის ნათესაებში“ და „ილია და ოლღა დუშეთის საზოგადოებაში“.

„მოსაწონია ს. კენჭაძის მხატვრული ტილო „ილია უსმენს მეფანდურეს“. აქვეა გიორგი მუხრან-ბატონის, ივანე მუხრან-ბატონის, ბესარიონ ლოლობერიძის, პლატონ იოსელიანის, გრიგოლ ორბელიანის პორტრეტები“.

„აქ წარმოდგენილია აგრეთვე ილია, როგორც ქართული თეატრის მესვეური, სახელმწიფო საბჭოს წევრი და სხვა მასალები. მუხეუმიში 93 საინტერესო ექსპონატია გამოფენილი“ (გაზ. „კომუნისტი“ გზა“. №67. 8.VI.1968 წ.).

ამ საგაზეთო პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ

მუხეუმი მოეწყო საქართველოს კვლევითი რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნას“ პირველადი ორგანიზაციის ინიციატივით, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიონის სახალხო მოსამართლე ა. გათენაშვილი. მის მოწვობაში აქტიური დახმარება გაუწიეს ი. ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუხეუმი და ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ.

იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში წერია სტატია სათაურით „დიდი მწერლის უკვდავება“, რომელშიც აღნიშნულია: „შაბათს, 8 ივნისს, სახეიმოდ იყო მორთული დუშეთის სასამართლოს შენობა. დიდი ილიას პორტრეტი, მისი ბრძნული გამონათქვამები ამშვენებდა შენობის ფასადს, აივანს, მაისის ვარდებით აყვავებული ეზო სახეიმო ელფერს მფენდა გარემოს. დიდიდანვე აქ თავი მოიყარეს დუშელმა მშრომელებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ, მოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან.

დღის 12 საათია. აივანზე ადგილებს იკავებენ: აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ო. ევაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გ. მაისურაძე, პროფესორი ა. მახარაძე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების მინისტრი მამედ ალი ზადე, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი. ტრიბუნაზე არიან აგრეთვე ქართველი მწერლები ხელოვნების მუშაკები, ჟურნალისტები რესპუბლიკური გაზეთებიდან და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები“.

„სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გ. მაისურაძე, მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ე. ქარელიშვილი, მასწავლებელი მ. როსტიაშვილი, მოსწავლე ბ. ბაღხამიშვილი, რომელმაც წაკითხა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართლის დედას“.

პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შადურმა დამსწრეთა ტაშის გრი-ალში მოხსნა თეთრი საფარი დიდი ილიას ძეგლს, რომელიც გამოაქანდაკა მოქანდაკე ვ. თოფურბეგი და უსასყიდლოდ გადასცა დუშეთის საზოგადოებას“.

ამ გაზეთის ინფორმაციაში აღწერილია ეპიზოდი ი. ჭავჭავაძის მუხეუმის გახსნისა, რომელშიც აღნიშნულია: „მიტინგის მონაწილენი შედიან სასამართლოს შენობაში მოწვობილ მუხეუმიში. ლენტი გაჭრა მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მჭითურმა. სტუმრები მუხეუმს, რომლის ექსპონატები, სურათები თუ ფოტოლოკუმენტები მშვენივრად ასახავენ ი. ჭავჭავაძის დუშეთში მუშაობის პერიოდს“.

ყველა მუხეუმიში წესად აქვთ იქონიონ შთაბეჭდილებათა წიგნი, ამ შემთხვევაშიც ჰქონიათ. გაზეთში დაბეჭდილია ზოგიერთი ჩანაწერი. ამის შესახებ ვითხვლობთ: „შთაბეჭდილებათა წიგნი გაჩნდა პირველი ჩანაწერები. „საქართველოს უგვირგვინო მეფე“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში – ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდი ფიგურაა, რომ შეუძლებელია მოხვიდე აქ, ძველ სახლში, სადაც ეს კოლოსი 9 წელს მუშაობდა, მუხლი არ მოიყარო. მადლობა მინდა ვუთხრა დუშეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას, რომლებმაც ეს მინიატურული მუხეუმი გახსნა.

დავ, თაობები მოვიდნენ აქ, დიდი ილიას წინაშე მუხლის მოსაყრელად და იმ შეგნების გასაღვივებლად, რომ ადამიანი არა მარტო მართლმსაჯულებით უნდა იყოს დაცული, არამედ ისეთ საზოგადოებაშიც უნდა ცხოვრობდეს, სადაც მართლმსაჯულება საჭირო აღარ იქნება. ილია ჭავჭავაძე უკვდავია!“ ეს ჩანაწერი ეკუთვნის აკადემიკოს გ. ჯიბლაძეს. აქვეა ო. ევაძის, ა. კალანდარიშვილის, ვ. კიკნაძის, ვ. მაისურაძის და სხვათა ჩანაწერები“.

გაზეთის წერილიდან ვიგებთ, რომ იმ დღეს დუშეთის სასამართლოს სხდომათა დარბაზში ნატარდა ილია ჭავჭავაძის დუშეთში მოღვაწეობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. გაზეთში ამის შესახებ წერია: „წაკითხულ იქნა საინტერესო მოხსენებები: „ილია ჭავჭავაძე და ქართველი მწერლობა – მომხსენებელი აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე – იურისტი“ – მომხსენებელი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. შვანია, „ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დუშეთის პერიოდი“ – მომხსენებელი პროფესორი ა. მახარაძე, „ილია ჭავჭავაძის სახე ქართულ სახეით ხელოვნებაში“ – მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ევაძე.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა დუშეთის სახალხო მოსამართლე ა. გათენაშვილი, რომელმაც დუშეთის საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ილიას ძეგლის დადგმასა და მუხეუმის გახსნაში. ნაჩვენები იქნა კინოფილმი „ილია ჭავჭავაძე“.

გვიან საღამომდე გაგრძელდა ზეიმი დიდი ილიას ძეგლის გახსნის აღსანიშნავად“. ჯ. მანაბელი (გაზ. „კომუნისტი“ გზა“. №68. 11.VI. 1968 წ.).

უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს, აგრეთვე, ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი, იმდროინდელი საქართველოს უპირველესი გაზეთის „კომუნისტის“ პუბლიკაცია სათაურით „ილიას ძეგლი დუშეთში“, რომელშიც აღნიშნულია: „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია ქ. დუშეთთან, სადაც იგი ასი წლის წინათ მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა: სწორედ ამასთან დაკავშირებით დუშეთის რაიონის ხელმძღვანელებმა და მშრომელებმა გადაწყვიტეს სასამართლოს შენობაში, სადაც ასი წლის წინათ მუშაობდა დიდი ილია, მოეწყოთ დუშეთში მისი მოღვაწეობის ამსახველი მუხეუმი. ამავე შენობის ეზოში დაიდგა ილიას ძეგლი, რომლის ავტორია ვალერიან თოფურბეგი“.

„იმავე დღეს დუშეთის რაიონის სასამართლოს შენობაში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დუშეთში მოღვაწეობის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია“. ვ. ქისტაური („კომუნისტი“. 11.VI. 1968 წ.).

ზოგჯერ, მოსაწყენი იყო ილიასათვის საკანცელარიო საქმიანობა და მომწივართა საქმეების გარიგება. როცა ერთხელ გულზე სევდა შემოაწვა და მოთმინების ფილა აეგხო, მეუღლეს ოღდა თადეოსის ასულ გურამიშვილს მისწერა: „მომხუდდა ეს ღვთისაგან დალოცვილი უბედური დუშეთი და მისი უკაცურნი კაცნი“-ო.

დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით ახალმა ქართველებმა, უფრო სწორედ, „დუშელმა ბერბოჭაშვილებმა“ 2012 წელს ხელმეორედ მოკლეს დიდი ილია (ჯერ მისი ძეგლი მოიპარეს, შემდეგ მუხეუმი გაანადგურეს). თუმცა ამით ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობასა და ხსოვნას არაფერი აკლდება, რადგან ის უკვდავია და მომავალი თაობა უფრო დააფასებს მას.

თამაზ ბიბილიძე, პროფესორი, საზოგადოება „ილიელი“-ს თავმჯდომარე

ტაში-ტაში ლაყავია მუდამ ვეტრფი დილა სისხამს, აზროვნება კვირტს რომ ისხამს, ფუტკარივით მისხალ-მისხალ, ნექტარს ეძებს მამა-სისხლად.

ხანაც მესმის გულის ჩქერის, თითქოს ფეხზე გაქანკალო და იქიდანურად მზეც დამცქერის ამ ჯოჯოხეთ სამყაროდან.

მღვდელი აზობს სიტყვას „ღვთისაწ“, ვაჭარი კი ტენის ქისას, ადვოკატი უნძობს მისანს, მწყემსი ნახირს მწყემსავს მისას.

სადაც ისმის სულის კენესა, მას პოეტი აზობს ლექსად, ქურდი ქურდობს, მრუში მრუშებს პარლამენტში რომ შეუშვებს

ჩამონგრეს უნდა ზეცა... ხალხლო, თქვენ რა ელდა გეცათ?! ვხდავ მხარი უკუ გეცქვით, ვეღარ არჩევთ უკუნეთსაც.

როგორც ვერი, ისე ბერიც, კრიმინალიც ისე მღერის... ქვეყანას რით გადაარჩენთ, ქურდებისგან ვის გაარჩევთ?!

ბევრსაც აღარ დავახანებ, ერთი რამით გაგახარებთ: თუ დაგჭირდით მეტის-მეტად, ამირჩიეთ პრეზიდენტად.

ნურც სორსი, არც მაფია... ეს ქვეყანა სალაფია, ვით სხარტულა და კაფია, ტაში-ტაშის „ლაყავია“.

გინდათ უფრო გაგახაროთ და ვარამიც გადაგყაროთ? ჩამაბარეთ ეს სამყარო, რომ აქედან თქვენც გაგყაროთ.

არც გვირგვინის გახალაოთ მდომი, რომ ვიფიქრო რამ ნეტარზე. მაპატიეთ რომ შეცდომით, თქვენთან მოვხვედი პლანეტაზე.

თუ გებულებაო? გწერ ამ სტრიქონებს განა იმ-იტომ, რომ არ შემეპყროს მელანქოლიამ?

არ მინდა ვინმეს გული დავეწყვიტო; ისე რომ ვერ ვსთქვა თქვენ რომ გგონიათ.

ვინ იცის ქვეყნად თუ სად თავდება სიცოცხლის მიჯნა, შუღლი მოკეთის; ვინ დაუდგება თუნდაც თავდებად ბედით შერისხულს, ანუ მოკვეთილს?

ბევრი სხვა რამე მადარდიანებს, რომ ბოროტება ასე ფასდება; რით შთაგაგონო ადამიანებს, რათა დაინდონ მათი მსგავსება?!

ასე რად მოგვდგამს ადამ-დროიდან: სიცოცხლე ზღვრული, მტრობა უღვეო? განკითხვის ჟამი ნუთუ მოვიდა უზუნაენის განკარგულებით?!

დამფასებელი სადი გონების და უანგარო წვა-ერთგულებად; ხმა ზეციური ამ შთაგონების ქვეყნად გამგონე თუ გეპუღუ-ბა?!

გურამ ჯიბია, ჩხოროწყუ, სოფ ლესიჭინე.

ჯალალონია-ჯალალანიების გვარის დალოცვა 2014 წლის 25 მაისს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალალანიების გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა). რისთვისაც „ლიბერთი ბანკში“ გახსნილია ანგარიში. მფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალალანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალალანია).

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-247

სამი ათასი წლის შემდეგ, ახ.წ.ად-მდე 6500 წლისათვის. საბი-აბ-იადის – დასახლების, რომელიც მდებარეობდა ბორცვზე გიობეკლეთებს უკვე მივიწყებული სამლოცველოდან სამხრეთით (მანძილი მათ შორის იყო ას კილომეტრზე ნაკლები) – მაცხოვრებლები ლუქაგუნდნენ თავიანთ განძსა და სურსათ-სანოვარებს ბუქტებით, რომლებზეც გამოსახული იყო ასო „M“ და მსგავსი სამი ზოგზავისებური ხაზი. კლავუს შიდადის ახრით, ეს სიმბოლო – ობოლის თავისებური სტილიზებული გამოსახულება, ჩვენთვის ცნობილია გიობეკლითებედან. ჩნდება სხვა სამასსოვრო სიმბოლოც: მრავალფეხა, გველი, ხარი, ტახი. „მე ვიტყვი, პირველი, რაც გავიფიქრე: ამ ბუქტებზე, ჩვენ კვლავ ვხედავთ გიობეკლითებს იკონოგრაფიას“ – აღიარა შმიდტი (აქ გარკვევით ჩანს, რომ კ. შმიდტი დამწერლობა ლაპარაკობს – კ.შ.)

გამოჩნდება მეცნიერი, კლავუს შმიდტი ნათლად ხედავს, რომ „ველურები ველურთა შორის აგებდნენ ტაძრებს“ და „აქ აღმოჩენილი ძველბურთი სიმბოლოები ძალიან გვანან დამწერლობას, მაგრამ შესაძლებელია კი ეს?“ და რომ ეს დამწერლობა II ათასი წლის წინანდელია, ნუთუ მაშინ შეიძლება დამწერლობა ყოფილიყო? კლავუს შმიდტი პირდაპირ აღიარებს რომ: „მე ვიტყვი, რაც პირველად გავიფიქრე: ამ ბუქტებზე ჩვენ კვლავ ვხედავთ გიობეკლითებს იკონოგრაფიას“; ვიყო რებ, კ. შმიდტი ხედავს, რომ აღნიშნული სიმბოლოები წარწერაა, მაგრამ მას ძალიან ავიჭრებს: II ათასი წლის წინათ როგორ შეიძლებოდა დამწერლობა არსებულიყო.

ჩანს, რომ ეს დიდი მეცნიერი, მთლად შესაფერისად არ იცნობს ძველი კოლხეთის ისტორიას, კოლხ-პელაზგების წარსულს, რომ როგორც აღვნიშნეთ, ძველი კოლხეთი, კოლხეთის „იმპერია“, მთელი მსოფლიოს უდიდეს ნაწილს ფლობდა: მე-შამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამეგრელოს ყურეს ჩათვლით, ჩრდილოეთი ინდოეთამდე, კიმეთ-ნილოს ქვედაწელამდე, სუდანისა, და ყირიმის ჩათვლით დნეპრამდე. ყუბანამდე, ტუაფსეს (ლაზიკას) ჩათვლით, ერაყი, სირია, პალესტინა, ხმელთაშუა ზღვის აუზის ტერიტორიების ჩათვლით და სხვა. ეტეობა კ. შმიდტი არ იცნობს „ფესტოსის დისკოს“ ისტორიას და იმასაც, რომ აიეტის ეპოქაში კოლხებს კვირბები – წიგნები, წიგნსაცავები და დამწერლობა აქონდათ. რომ წინა აზია, მცირე აზია, დღევანდელი თურქეთის მთელი ტერიტორია კოლხური მიწები იყო. ყველაფერი ამის შემდეგ კ. შმიდტს საეჭვოდ არ გაუხდებოდა II ათასი წლის წინანდელი სიმბოლოები, რომ დამწერლობა იყო და ეს დამწერლობა უთუოდ კოლხური უნდა ყოფილიყო.

დასახლებამ საბი-აბიადემ იარსება კიდევ სამი ათასი წელი – ურუკას ეპოქამდე – წერს კ. შმიდტი, – თუ ურუკის სიმბოლოა, რომელიც მოწმობს, ჩვენი წარმოდგენებით, დედამიწაზე პირველი ცივილიზაციის დაბადებას, მასში იახლება – ბოლო, გამოსამწვიდობებელ ანარეკლად – მონადირეებისა და შემგროვებლების დიადი კულტურა. გიობეკლითებს კულტურის ბრწყინვალეობა.

როგორც პერალდ პაუტმანი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, გერმანული ჟურნალის Bild der Wissenschaft ფურცლებზე წერს: „სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ ად-მდე IV-III ათასწლეულების მესოპოტამიის ღმერთების პანთეონს გააჩნდა თა-

ვისი წინაპრები. მე ვფიქრობ, რომ გიობეკლითებში უკვე მაშინ ფორმირებული იყო წარმოდგენები, რომელთაც შემდგომში ასახავს პირველი კულტურაში.“ უმეტესი კულტურა ხომ ფაქტიურად ქართული კულტურაა.

რა თქმა უნდა, ოთხი ათასი წელი არ არის მცირე ვადა, მაგრამ შესაძლოა, რომ გათხრებმა თურქული ქურთისტანის, სირიის, ერაყის, ლიბანის ტერიტორიაზე მოგვცეს საშუალება უფრო დეტალურად დავინდგეს კავშირები ცივილიზაციის უძველეს კუნძულებს შორის, რომლებიც წარმოიქმნენ 5-10 ათასი წლის წინა აზიის ტერიტორიაზე.

ჩვენ დღემდე ბოლომდე ვერ ვაფასებთ ქვის საუკუნის ადამიანებს. ისინი არ იყვნენ ბუნების უძლეო მონები. მათ ისწავლეს მისი დარტყმების ატანა, დაპირისპირება. ამ ეპოქის ადამიანებს შეეძლოთ საკმაოდ სადი აზროვნება და პოულობდნენ მრავალი პრობლემის მოგვარების ხერხს. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანმა დაიწყო მიწის დამუშავება, იგი კვლავ გახდა ბუნების მონა, მისი კლიმატური კაპრიზების მძევალი. – წერს ალექსანდრე ვოლკოვი.

ცნობილი მკვლევარის ალექსანდრე ვოლკოვის შრომიდან, ამ წინამდებარე ნაშრომის ავტორს არაფერი არ შეუცვლია, იმიტომ რომ მკითხველი თავად დარწმუნდეს თუ რა აღმოჩენა გააკეთა კლავუს შმიდტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და თვითონ გააკეთოს შესავლის ანალიზი. არავისათვის სავსე არ არის, რომ თანამედროვე თურქეთის აღნიშნული და მთელი თურქეთის ტერიტორია უძველეს კოლხთა საცხოვრისი იყო. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ერაყში – „უმეტესი“ „უმეტესების“ მისვლამდე (ამაზე ზემოთაც გვაქვს საუბარი) ბინანურ ენაზე მოლაპარაკე მეგრულ-ლაზ-ჭანები ცხოვრობდნენ. გიობეკლითებში აღმოჩენილი II ათასი წლის წინანდელი კოლხური ტაძრის და, ალბათ, კოლხური დამწერლობის აღმოჩენა (იმედია აღნიშნულ დამწერლობას – ასო-ნიშნებს) ვიყო რებ, გაშიფრავს უდა კვაშილავა) მსოფლიო ისტორიის უდიდესი აღმოჩენაა, რომელიც უძველესი ცივილიზაციის განვითარების ისტორიას მიმართულებას შეუცვლის. აქ ერთხელ კიდევ (მერაბდენად) მტკიცდება, დასტურდება, რომ კოლხეთი ჩვენი სამყაროს პირველი ქვეანაა, რომ ძველი კოლხეთი კაცობრიობის ცივილიზაციის აკვაია.

აქვე კვლავ მინდა ვთქვა, რომ კლავუს შმიდტს გათხრების წარმოებისა (რომელიც ჯერ მთლიანად დამთავრებული არ არის) და გათხრების შედეგებზე ანალიზის გაკეთების პერიოდში, არ შეიძლებოდა ცოდნობა გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს გამოფრის შედეგები. იტულებული ვარ, მკითხველს შევახსენო ორიოდვე საკითხი, კერძოდ „ფესტოსის დისკოს“ გამოფრის ზოგიერთი შედეგი და მნიშვნელობა.

1908 წელს (3 ივლისი) იტალიელმა არქეოლოგებმა დოქტორმა ლუიჯი პერნიემ კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა თიხის დისკო, რომლის ასაკი, როგორც ითქვა, დაახლოებით 4 ათასი წელია. ეს პერიოდი ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, როდესაც კოლხეთი (საქართველო), მისი კულტურა მსოფლიოს უდიდეს ნაწილს იყო მოდებოდა (პროფ. მ. აბდუშელიშვილი) და კუნძული კრეტა კოლხთა საცხოვრისი იყო. თიხის ფორფიტის ორივე მხარეს ოქროს ყალიბით ამოტვიფრულია 244 ნახატი ნიშანი და 63 სიტყვა-კომპოზიტი. დისკოს გამოფრის ბუნებრივად წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს, მკვლევარ მათემატიკოს-ლინგვისტს გია კვაშილავას.

2008 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში და ანტიკვარულ საზოგადოებაში – ბერლინტორის სახლში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ისტორიკოსი, არქეოლოგი, ენათმეცნიერი და სხვა დარგის სპეციალისტი მონაწილეობდა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო ჟურნალ „მინერვას“ დამფუძნებელი დოქტორი ჯერომ აიზერბერგი და ამავე ჟურნალის რედაქტორი მარკ მერონი. თორმეტი მოსხვენიდან, რომელიც მთლიანად ფესტოსის დისკოს საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, მხოლოდ გია კვაშილავას მოხ-

სენება გახლდათ იუბილის გვირგვინი და მშვენება, სადაც წარწერებიანი დისკო ამტკველებული იქნა პროტოქართულ ენაზე. ფესტოსის დისკოს წარწერის გამოფრვა და მისი გამოფრავი გია კვაშილავას მოხსენება ლონდონში ქართული აზრის დიდი გამარჯვებაა, – წერს ლონდონის კონფერენციის მონაწილე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ინგლისური ენის შესანიშნავი სპეციალისტი ნანა შენგელაია.

მას შემდეგ რაც გია კვაშილავას სენსაციური აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინტერნეტო, ავტორმა 7 ათასზე მეტი წერილი მიიღო მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

პროფესორი ნანა შენგელაია აღნიშნავს, რომ ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე კამათის დამთავრების შემდეგ გამოსულ ერთ მსცოვან მეცნიერს განუცხადებია: მოთმინება ახალგაზრდას, მოთმინება! ყოველივეს რაც აქ მოვისმინეთ, გამოწველიყოთ ანალიზი სჭირდება. გარწმუნებთ სამ წელიწადში თქვენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანი იქნებით. (ნანა შენგელაია, ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, გა.ს. „24 საათი“, 2009, 15 იანვარი, № 6.)

რა ხდება კონფერენციის შემდეგ: საერთაშორისო კონფერენციის პრეზიდენტი რომ აიზერბერგი წერს: ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! ნამდვილად ბედნიერი ვიყავი თქვენთან და თქვენს კოლეგასთან შეხვედრით ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო, კონფერენციაზე გასულ კვირას. თქვენი უაღრესად შთაბეჭდილი მოხსენება ძალიან კარგად იყო წარმოდგენილი. მასში მოცემულია უაღრესად საინტერესო მიდგომა ფესტოსის დისკოს ამოცანის გადასაწყვეტად.

გისურვებთ კეთილ იდბალს თქვენს შემდგომ კვლევაში.

ლონდონის კონფერენციამდე, 2008 წლის 3 სექტემბერს, ჟურნალ „მინერვას“ რედაქტორი მარკ მერონი წერდა: ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! დიდ მადლობას მოგახსენებთ და გაცნობებთ, რომ მივიღეთ თქვენი ბრწყინვალე მოხსენება. სიხარულით ველი თქვენთან შეხვედრას, მრავალ წელიწადს და დეკემბრს შორის არის ასეთი დეკემბერი: ძვირფასო დოქტორო კვაშილავა! დარწმუნებული ვარ, თქვენი კვლევა და აღმოჩენები დიამეტრიულად შეცვლის აქამდე დამკვიდრებულ ბევრ ძველ შეხედულებას. პატივისცემით იოაჰიმ ცაიგენფუსი. 14 ოქტომბერი, 2008.

დარწმუნებული ვართ, კლავუს შმიდტს, ჰიპლარის მთის სამლოცველოს წარწერის შესახებ განსხვავებული შეხედულება ექნებოდა, რომ გაცნობილი ყოფილიყო ძველი კოლხეთის ისტორიას ენის შესახებ არა მარტო გია კვაშილავას აღმოჩენებს, არამედ სხვა ისეთი ავტორების შრომებს, როგორცაა თორე ლორთქიფანიძე, ვლადიმერ ალფენიძე, ანხორ შონია, კონსტანტინე, ბადა (ნეგუსი) სოფია, ნათელა ფოფხაძე, ინდიკო კვეკვესკირი, ნუგზარ კვაშილავა (იხ. ნუგზარ კვაშილავას კოლხური ენა როგორც ევროპულ ენათა სუბსტრატო, და მისი სხვა ნაშრომი კოლხეთის ისტორიისა და ქართველური ენების, კერძოდ მეგრულ-ლაზურ-ჭანურ ენის შესახებ) და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიას და ვლადიმერ ვახანიას შედეგით მსოფლიო „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოების“ უნიკალური მნიშვნელობა, რადგან ამ ფუნდამენტურ ნაშრომზე ხვევით ვილაპარაკეთ, ქვემოთ უფრო ვრცლად გვქონდა ლაპარაკი და მოკლედ ქვემოთაც გვაქნება საუბარი.

ხეშოთ ჩვენ ვისაუბრებთ კოლხური (მეგრული) ენის შესახებ, მისი გავრცელების არეალზე. აქ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარები, მრავალი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომების ავტორები, პროფესორი მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია და ვლადიმერ ვახანია ეთანხმებიან ენათმეცნიერებს იმის შესახებ, რომ „აბსოლუტური სიხუსტით შეუძლებელია დადგენა, როგორც ენის მთელი ლექსიკური მარაგისა, ასევე თუნდაც, ერთი ადამიანის ლექსიკისა...“ მაგრამ ჩვენ შესაძლებელია მივაჩინოთ ენის ლექსიკური ფონდის მათემატიკური გაანგარიშება. ასეთი რწმენა მოგვანიჭა ქართველურ ენათა ერთ-ერთი ფენომენის – მეგრული ენის მონაცემებმა და, განსაკუთრებით, მის სალექსიკონო მა-

სალაზე წლების მანძილზე გაწეულმა მუშაობამ, მისმა შედეგებმა... რომ სამისოდ აუცილებელი არ არის ენის მთელი ლექსიკური ფონდის ანუ ენის განკარგულებაში არსებული ყოველი სიტყვის ლექსიკური ერთეულების ცალ-ცალკე უკლებლივ შესწავლა“. ამასთან, მეგრულში სრულფასოვან სიტყვებად წარმოდგენილი ერთეული ბეგრებიც, კერძოდ, თანხმოვნები ოღონდ მათთანვე ნახევარსმოვანი ბეგრის თანხლებით... მაშასადამე, სიტყვას წარმოადგენს ერთეული თანხმოვანი ბეგრაც და თანხმოვან ბეგრათა კომპლექსიც. გარკვეულ პირობებში სიტყვად გვეყვება ცალკეული ხმოვანი ბეგრებიც. (მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ენის წარმოშობის საიდუმლოება, ზუგდიდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997, გვ. 127-129, 139.)

მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ვლადიმერ ვახანია წერენ: თანამედროვე მეგრული ლექსიკა, პარალელურ, იშვიათ ხმარებად და პოტენციურად შესაძლებელ ფორმებთან ერთად ითვლის რამოდენიმე ათეულ მილიონ სიტყვას, აქედან ზმნურ ფორმას განეკუთვნება 99.9 პროცენტი.

ეს ფაქტი მართლაც, დაუჯერებელი, ზღაპრული ჩანს, მაგრამ იგი რეალურია და, ამდენად, ჯოჯობი – წერენ ავტორები.

ავტორები გარკვევით ავრთმებენ: „ენის ლექსიკის სიმდიდრით კი, მეგრული ენა, ენათმეცნიერებისათვის დღემდე წარმოუდგენელი მონაცემებით ხასიათდება.“

პირადად ჩვენ, ადრე ვინმესგან რომ მოგვესმინა, რომ არსებობს რამდენიმე მილიონი სიტყვისაგან შემდგარი ენაო, ან კიდევ მეგრულში გვაქვს ლექსიკის ამაგარი სიმდიდრე, ასეთის განმცხადებლის გონებრივ სიჯანსაღეს ვჭვის ქვეშ დავაყენებდით, მაგრამ სინამდვილე სწორედ ასეთი აღმოჩნდა.“

მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია და ვლადიმერ ვახანია წერენ, რომ მეგრული ენის ლექსიკა გამოირჩევა განსაკუთრებული სიმდიდრით მსოფლიო ენებს შორის – იგი ათეულ მილიონობით სიტყვებს დაითვლის. ამ მხრივ მას ბადალი არ ეძებნება. მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამიას ახალი კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მეგრულ ლექსიკონში 200 მილიონზე მეტი სიტყვაა.

მ. ძაძამია და ც. ძაძამია, აღინდელ ნაშრომში, აკეთებენ საინტერესო შედარებებს: ქართული ენის რავტომიანი განმარტებითი ლექსიკონი 113 ათასამდე სიტყვას მოიცავს, რუსულის ასეთივე ოცტომიან ლექსიკონში 125 ათასამდე სიტყვაა შესული.

ავიღოთ ზოგიერთი სხვა ენები. მაგალითად, არაბულ ენაში აქლემისათვის აქვთ 5758 სიტყვა, ხმლისათვის – 1000-მდე, ლომისათვის 700-მდე სიტყვა.

მეგრულში მარტო საგნის მოძრაობის გამოხატულები ზმინის „გებნორთ“ – „გადავიდა“ სინონიმური ფორმის ერთადერთი გენო-ზმინისწინის გამოყენებით კი იგი მილიონობით სიტყვას ვგავდევს.

შემდეგ ამბობენ, ესეც კიდევ ერთი „დაუჯერებელი“ ფაქტი: ამასთან, მეგრულში არა მარტო ლაპარაკისა და ჭამის გამოხატულები სინონიმური ზმნები ზმინისწინებიანი ფორმებითურთ, ცალცალკე, დაახლოებით 100-100 ათასამდე ლექსიკურ ერთეულს ითვლიან. ასევე, ათეულობით ათას ლექსიკურ ერთეულს ითვლიან ცემისა და სმის გამოხატულები სინონიმური ზმნები. თურმე, აფრიკის ზანგთა ერთ-ერთი ტომის ლექსიკაში მოძრაობის გამოხატულები 83 ზმნა იტყვენება და ესეც მიღწევად მიანიათ.

მამანტი და ცირა ძაძამიები წერენ: სხვა მრავალი „დაუჯერებელი“ ფაქტის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ აღნიშნული საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როდენ მდიდარი ლექსიკა გააჩნდა მეგრულ ენას.

მამანტი და ცირა ძაძამიები წყალობითა დადასტურებულია ის ფაქტი, რომ „თანამედროვე მეგრული ენის ესოდენ თვალშეუდგამი ლექსიკა ათეული მილიონობით სიტყვას – ლექსიკურ ერთეულს ითვლის.“ „ამგვარი თილისმა ენა ჩვენი დედაენა ქართული, მისივე წარმომშობი ფენომენალური ქართველური ენებითურთ.“ (მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ენის წარმოშობის... გვ. 140, 168.)

კლიმენტ შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

— ქართული სიტყვა “თვალ” ძველქართულად იყო “თვალი”, რაც ნაწარმოებია მეგრული სიტყვიდან “თოლი” — ეს ფორმა შემორჩენილია ადრესალეთ საქართველოს მთიანეთშიც. მეგრულად თვალს აგრეთვე ქვია “ჭურია”, “ჭურჭული” კი ნიშნავს თვალის გუგას; აქედან უნდა იყოს სიტყვა “ჭურჭა-ჭურჭა”; “ჭვიტინი-ჭვიტინი”, “ჭურჭურა”, “დახუჭვა”, “მოჭურვა”, “დაჭურვა”; “ჭიტი”...

— ქართული სიტყვის “დათხოვნას” ძირი არ გახლავს სიტყვა “თხოვნა”; მეგრულად “დათხოვნა”-“დათხოვა”-“თხოვა”-“დათხია” ნიშნავს ჩამოშორებას, მოცილებას; “დუშეთი” ნიშნავს მოშორდის-თავი დამანებეს-შემეშის.

— მეგრული სიტყვა “ონტება” ნიშნავს გაქცევას — ძველქართულში იყო სიტყვა “ონტება”, რაც ასხვევ ნიშნავდა გაქცევას; მეგრული “ინტე” ნიშნავს “იონტას”-“განილტოდას”; “გონტება” ნიშნავს “გაშეგებას”; აქედან უნდა იყოს სიტყვები “(და)ტოვება”, “(გან)ტოვება”, “განტოვება”.

— სიტყვა “ჩალა” და “ჩალირი” მეგრულად ნიშნავს მხლად და გონებანდუნებულად — აქედანაა სიტყვა “ლარი”: “არი” ბოლოსართია, „ლა“, თავსართი, ძირი გამოდის “ჩ”. აქედან სიტყვები “ჩალა”, “ჩანანაი” (ჩუთუ), „ჩამინა“.

— მეგრულში არის ერთ ასოიანი სიტყვა “გ”-გავს; “გუალო” არის “მსგავსი-მაგვარი” — იტალიურში “უგავლე”, ფრანგულში “გვალ”, გერმანულად “გლაის” ნიშნავს მსგავს-იგივეს.

— “ულა” მეგრულად ნიშნავს (“ვა-ს) სვლას”; როგორც ვნახეთ მეგრული და ძველქართული “უ” ჩანაცვლა “უ” ბგერამ; პირვანდელი ფორმა რომ იყო “ულა” და არა “ვლა” ეს ასახულია სიტყვებში “გარდასული” (გარდასულა-გარდასვლა), “წარსული”, “გასული”; მსგავსად ამისა გერმანულ ენაში სიტყვა “(ს)ვლა” — გერმანულად “ვერ” მიიღო რიგ სიტყვებს აწარმოებს, მაგალითად: “აუსვანგ”, “ფორვანგ”, “ნახვანგ” და ა.შ. “ულა” ბრუნვაში არის “მეურქ”-მიდხარ და “მეურც”-ურს-მიდის, აქედან კი სიტყვები “ურემი” და “ურიაკა”.

— სიტყვა “მოდი” მეგრულად არის “მორთი”; “რთ” ფუძე ვიცით რომ ურთიერთ-მოქმედებს აწარმოებს ქართველურ ენებში, ამდენად ცხადი ხდება, რომ არქაული ფორმაა “მორთი” და არა “მოდი”.

— ქართულ სიტყვა “კი” (თანხმობა) მეგრულად არის “ქი”, რასაც შეესაბამება ქართული “ხო”-“პო”; აქედანაა ქართულ დიალექტებში არსებული ფორმა “ქე” (ქე ვიცო, ანუ კი ვიცო). ძველქართულად “ქი”-ს შეესაბამება “ქუე”; ამდენად სიტყვა “კი” თავიდან იქნებოდა “ქიქი”. სიტყვა “დაიხ” იქნებოდა “დაი” (დაედა დედა) და “ხ-ხო-ქი”-ს ერთობა (დაიქ(ო)). “ქი” ძირსვე უკავშირდება სიტყვა “ქორე”-არის და

“ქოფე”-“ყოფე”-ყოფილა; აქედან სიტყვა ყოფნა.

— ქართული სიტყვა “არა” ნაწარმოებია მეგრული სიტყვიდან “ვარ(ა)”-“ვა”. სიტყვა “არაში” “ვ” ასოს დაკარგვაზე მიგვანიშნებს ქართველი სიტყვა “ვერ”, “ვედარ”, ასევე სიტყვა “უარის” დასავლურ ქართულ დიალექტებზე არსებული ფორმა “ვარი”. თუ “ვ” ასომ უმეტეს შემთხვევებში ჩანაცვლა “უ” ასო “უარის”-“ვარის” შემთხვევაში პირიქით მოხდა, რადგან თავსართი “ვ” სათავისო ფორმაა: “ვაკეთებ, ვამბობ, ვიქმნი” “უ” თავსართი კი ერთის მხრივ “უმეტრობა” (უფრო, უდიდესი, უძლიერესი) და მეორე მხრივ უკონდლოს ადნიშნავს (უფულო, უგუნური, უჭმელი...), ამდენად სიტყვა “უარი” გამოდის “უარო” ანუ “არას” გარეშე მყოფი და მეორეს მხრივ “უფრო დიდი არა”-“უუარესი”-“უუარესი”. ეს კი ნონსენსია; ამდენად მართებული ფორმა მართლაც არის “ვარი”, მაგრამ ესეთი ფორმით ვერ დარწმუნდა ქართულში, რადგან სათავისო “ვ”-მ აწარმოვა ისეთი სიტყვები, როგორცაა “ვარგისი” და “ვარ” (მე ვარ)- მეგრულად “ვორე” - მეგრული “რე” ნიშნავს “არის”-ს ძველქართული

ნახავი, ისევე როგორც წოვა თუ შური არის მთის ქართულის და ქისტურის ნახავი. სვანურ ენაში ის სიტყვები, რომლებიც მეგრულში არაა სვანურში შესულია ადილო-ყაბარდოული ენებიდან, ასევე არის პირდაპირ ქართულიდან შესული სიტყვებიც. თუმცა არის რამდენიმე ისეთი უძველესი კოლხური სიტყვა, რომლებიც ყველაზე უკედ სვანურშია დაცული. გარდა ამისა სვანურში მითიური-გაუხეშებული მეტყველების თვისებიდან გამომდინარე ბევრი მეგრული სიტყვა უბრალოდ დეფორმირებულია, ასევე დეფორმირებულია ადილო-ყაბარდოული სიტყვებიც. ამდენად შეგვიძლია დავასკვნად, რომ სვანური ენა მითიური მეგრულია ადილო-ყაბარდოული მინარევებით. მაგალითისთვის მომავს ზოგიერთი სვანურ-ადილური-ყაბარდოული სიტყვა: ფუსტ-ფუსდ(ფში)=ბატონი; ფაჟე-ფაჟე=ქალი; ხედა-ხეთა=რომელი; მეგემ-ნეგემ=ხე; ლეშესკ-მასკ(ე)=ცეცხლი; ხამხეა=ლორთი; ჯიპრა-აჟპრა=მუხა; მუს-უ(ე)ს,ასი(აქ ძირია “ს”)=თოვლი; ჩაჟ(ც)ა(ე)ჟ, ში(ე)აქ ძირია “(ე)“-“შ(ე)“=ცხენი; შგები-შიშელ(აქ ძირია “შგ”-“შე”)=რკო; თხერე-თილქ(აქ ძირია “თხ”-“თღ” თურთ-

თალია ამ ენებში არსებობს “ხანიშები”, მაგრამ ვერც თვალსაზრისით, ბერძნულში, ლათინურში და სომხურში კიდევ უფრო მეტი ხანიშებია და მაშინ ეს ენებიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ? უმჯობესია ტერმინი “იბერიულ-კავკასიური ენები” ამოვარდეს ხმარებიდან და ის შეიცვალოს უფრო მართებული ტერმინით “გეორგიანული ენები”, რადგან დღეს მსოფლიო გეოგრაფიკულ გვიცნობს. რაც შეეხება ბასკურ ენას ის იბერიული იმდენადაა რამდენადაც გეორგიანულს უახლოვდება, ამიტომ მას შეგვიძლია “სემიტიკო-გეორგიანული” ვუწოდოთ და არა “იბერიული”, იბერიული ენა იგივე ხანურია, თუმცა ეს სიმართლე დღემდე იგნორირებულია “წითელ ენათმეცნიერთა” მიერ. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი იგნორირებას უწევდა მეგრულ ენას, მას ავეწოდებოდა “ქვემო ქვეყნის ენა” და მეგრულძირიან სიტყვებს ყოხილბაშურით განმარტავდა, მაგალითად სიტყვა “გერგატი”, რომელიც არის მეგრული წმინდა გიორგის სახელი “გერგადან” ნაწარმოები, საბას ეგონა თათრული “ჯეგერგენიდან” მიღებული, რაც თათრულად ნიშნავს მოჭენავს-ცხენს, ამიტომ ის მცდარად განმარტავს, რომ “გერგატი” მომცრო ტანის (თათრულ) ცხენს ნიშნავსო. ქართული ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება ცარისტულ იმპერიალიზმამდე შეგავლენას განიცდიდა ირანული იმპერიალიზმის მხრიდან, რაც აისახა ვახტანგ VI(თუ V)ს და სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობაში. ირანის შემდგომ კი რუსეთის იმპერია შეეცადა ბოლომდე გაეყვანებინა ქართველი ხალხის და მისი ენის წარმოშობის საკითხი. მიუხედავად ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, პავლე ინგოროვას და რიგ სხვა ნიჭიერი მეცნიერების მცდელობისა, ქართული ისტორიოგრაფია და ენათმეცნიერება სწორედ სხვა მიხედვით ვერ შედგა, რადგან ამას ერთისმხრივ შეუძლებელს ხდიდა რუსეთის იმპერიალისტური მანქანა და მეორეს მხრივ არ არსებობდა სათანადო ლინგვისტური და ისტორიოგრაფიული ინსტიტუტი მუდმივად ფიზიკური განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფ საქართველოში. გარდა ამისა ზემოხსენებულ ავტორებს ხელთ არ ქონდათ ის ახალი არქეოლოგიური თუ სხვა საჭირო მასალები რაც დღეს ჩვენ ხელთ ვაქვს. ამ ყოველივემ განაპირობა ის, რომ ეს მეცნიერები ვერ მივიდნენ საბოლოო სწორ დასკვნებამდე და ისინი ჩვენ უნდა დავაფასოთ მხოლოდ როგორც ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწეები, მათი ნაშრომები კი იმდენად მოძველებულია, რომ თანამედროვე მეცნიერული მიგნებების გადასახვედიდან თუ შეგხვდეთ ეს მათი ნაშრომები ძირითად საყრდებურებზე ვერ გამოდგებიან.

ბაკურ მორბოზია

დედა ენა

“არს”. თეოლოგიაში ღმერთი “არსია”-“მარსებელი” და “არსის-შინაარსის” მიმკვიცი — ეგვიპტურშიც მარსებულ ღვთაებას ქვია “რე” (იგივე “რა”); ლათინურად მეფეს ეწოდა მისი სახელი “რე”, რაც ებრაულად იდენტურია. ეს ქართული სიტყვა “არს-არის” ხელთაა დასავლურად შექმნილი უნდა იყოს საეკლესიო ლინგვისტური რეფორმებისას — “ა” თავსართი “ადმატება” ისე როგორც “აგება, აღმართვა, აფრენა, ასვლა” “ს” ბოლოსართია, ისევე როგორც “გავს”, “მდგომარეობს, ჩანს” ძირი გერმანია “რ”-მეგრულად “რინა”-ნიშნავს არსებობას-ყოფას; ამდენად სიტყვა “არის”-“არსის” ძირია მეგრული “რე”.

— ასევე დაზგურად შექმნილი გავს სიტყვა “ხარ” — ეს “ხ” უწესრიგობდა აქ ჩასმული და სხვა სიტყვებთან კავშირს და ანალოგს ვერ პოულობს, მეგრულში კი არის “რეჟ”(ხარ) რაც ასევე ქართულ ფორმებთანაც მოდის შესაბამისობაში, მაგალითად: “შეხდე, დახდე”;

— ამდენად მეგრული ფორმები თვით ქართულისთვისაც კი გრამატიკული თვალსაზრისით უფრო გამართულია, რაც აგრეთვე ადასტურებს იმას, რომ ქართული ენა გამოყოფს მეგრულს და არა პირიქით. სვანური ენა კი არის მითიური მეგრულის და ადილო-თურქმენული ენების

მეწილი “თ(ა)ლირიდან”=მგელი; მიშგვი(მი)სიჟეჟი; ფხულე-ფხუ=თითი; ეხა-ეხი=ის; პაშდეჟე(პა)შინდირხუ=ხელიკი; ლიჟეშდე-პეშტი=გადაღობება და ა.შ.

— სვანურს და ადილო-თურქმენულ ენებს აქვთ ამასთანავე საერთო გრამატიკული ფორმებიც, რაც შემდგომ კვლევას საჭიროებს. საერთოდ ჩრდილოკავკასიური ენების და ქართველური ენების ერთ ჯგუფში შეყვანა არამართებულია, რადგან ჩრდილოკავკასიურ ენებს უფრო მეტი საერთო აქვთ თურქმენულ (თურანულ) ენებთან ვიდრე ქართველურთან, ხოლო ტერმინი “იბერიულ-კავკასიური” ენები ძირითადად მცდარი ტერმინია. ჩრდილო კავკასია დაავაპირველად კილხების სამეფოში შედიოდა და მასზე კონტროლს ქართველი ხალხი პერიოდულად იბრუნებდა ხოლმე შუა საუკუნეებში. ჩრდილო კავკასია მომთაბარე თურანული (თათრული) ტომებმა პირველად ჰუნების დროს დაიკავეს IV საუკუნეში, შემდეგ ავარებმა და ალანებმა, მერე ხაზარებმა და არაბებმა, მერე თათარ-მონღოლებმა, მერე თურქ-სელჯუკებმა და ყოხილბაშებმა, დღეს დაპყრობილი აქვთ რუსებს. ამ ხალხების ენებმა გადაფარეს ხანური ენის შრე ჩრდილო კავკასიაში. ამდენად უმჯობესი იქნებოდა ეს ენები თურქმენულ ენათა ჯგუფში ყოფილიყვნენ შეყვანილი. მარ-

ბოგებაშვილის “დედა ენა” უცნაური წიგნით “ჩაანაცვლეს

იაკობ გოგებაშვილის “დედა ენაზე” ბევრი ითქვა და ბევრიც ითქვება. ბოლო ხანს ვითარება იმანაც გაართულა, რომ 2009 წელს გრიგორეული “დედა ენა” 2011 წლიდან რეკომენდებულ სახელმძღვანელოთა სიიდან ამოვარდა. არა და, გოგებაშვილის “დედა ენის” მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოები სკოლებში ისწავლება. — გვითხრა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა. მისი თქმით, ეს პრობლემაა.

— აქ ჩნდება პრობლემა — რას ნიშნავს “მიხედვით”? ამ საანბანე სახელმძღვანელოებს სხვა ავტორები ჰყავთ, თუმცა, ფაქტობრივად, სიტყვა სიტყვით მისდევნენ გოგებაშვილს, მხოლოდ სტილისტურ-ორთოგრაფიული შესწორებებია ენის თანამედროვე ნორმებით გათვალისწინებული; ამასთან, “ავტორები” გოგებაშვილის ტექსტიდან გამომდინარე, კითხვებს სვამენ და სავარჯიშოებს ადგენენ. ამას პლაგიატი ჰქვია... მეორენი კი პირიქით, ამბობენ, რაღა დროს გოგებაშვილის “დედა ენით” სწავლება, გოგებაშვილი 100 წლის წინ გარდაიცვალა, თანამედროვე ბავშვი სხვა სამყაროში ცხოვრობსო, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საკითხის უცოდინარობით მოსდით. გოგებაშვილის შემდეგ მართლაც ბევრი რამ შეიცვალა და ეს ახალმა სახელმძღვანელომ უნდა ასახოს, მაგრამ მთავარია, გოგებაშვილისეული პრინციპები არ დაირყვეს. “დედა ენას” — ანბანის სწავლების გოგებაშვილისეულ მეთოდს — ამ წლის დასაწყისში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მიენიჭა, ახლა კი იუნესკოს მიმართავთ, რომ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიტანოს. “დედა ენით” სწავლების მეთოდი უნიკალურია, იგულისხმება პირველივე გაკვეთილზე შემოტანილი “აი ია” და შემდეგ, მარტივიდან — რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ სვლა. “აი ია”-ს ჩანაცვლება შეუძლებელია. გოგებაშვილმა “დედა ენის” შედგენისას ყველა ნიუანსი გაითვალისწინა — რამდენჯერ უნდა განმეორდეს ტექსტში ახალი ასო-ბგერა, რა რიგითობით ისწავლებოდეს ანბანი და ა.შ. ანგარიშს უწევდა ასო-ბგერის ფონეტიკურ ბუნებას, გრაფიკას, რამდენად არის ახლოს ადრე შესწავლილ ასო-ბგერებთან და ა.შ...

— “დედა ენის” ერთ-ერთ ახლანდელ სახელმძღვანელოში ასოები განსაზღვრული რიგითობით ისწავლება ა და ი, შემდეგ — დ და მ, მ და ს და ა.შ...

— პირველი კლასის ამ სახელმძღვანელოს საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელია აწ გარდაცვლილი ვახტანგ როდონია, ამ მეთოდის ავტორი — მარიამ მირიანაშვილი. ეს არის უცნაური სახელმძღვანელო, ასობგერა ა-ს შესასწავლად შემოაქვთ ისეთი სიტყვები, როგორც არის აგარიუმი, აქლემი და არწივი. გოგებაშვილი ამბობს, წერაკითხვის სწავლებისას ბავშვი ნაცნობ სამყაროში უნდა შევიყვანოთო, არის კი ყველა ქართველი ბავშვისთვის ნაცნობი ისეთი ცხოველი, როგორიც არის აქლემი, არ განაყველა 6 წლის ბავშვმა იცის, რა არის აკვარიუმი? მეორე მხარეა, თვითონ ამ სიტყვების შედგენილობა, 9-ასოიანი აკვარიუმიდან ერთ ასოს ვასწავლით, რაც ბავშვისთვის

რთულია. ამ მეთოდზე საუბრისას აცხადებენ, რომ ასე ასწავლიან ევროპაში — ჯერ კითხვას და მერე წერას, რომ ბავშვმა სიტყვა ისე უნდა დაიმახსოვროს, როგორც ნახატი, მაგრამ არ ითვალისწინებენ იმას, რაც ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილმა

თქვა, — ჩვენ ენა უნიკალურია და ევროპული ენებისგან განსხვავებით, ერთ ბგერას მხოლოდ ერთი ასო შეესაბამება, ევროპულ ენებში კი ერთი ბგერა შესაძლოა 3-4 ასოთიც გადმოიცეს, ერთი ასო სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული სხვადასხვა შემთხვევაში... რატომ ვართულებთ საქმეს? აქ მიმბაძველობა გაუმართლებელია. რაც შეეხება ასოების თანმიმდევრობას, გოგებაშვილი ა-სა და ი-ს შემდეგ ასობგერა თ-ს ასწავლის, რომელიც გრაფიკული თვალსაზრისით ყველაზე ახლოს არის ა-სა და ი-სთან. ამ წიგნში ერთ გაკვეთილზე ბავშვმა ასოც უნდა ისწავლოს, სიტყვაც და მისი შესატყვისი ცნებაც უნდა აღიქვას, ანუ როგორც იაკობ ამბობს, სამი სიძნელე ხდება, თუმცა, უმჯობესია ერთ გაკვეთილზე ერთი სიძნელე შეხვდეს. ან ნაცნობია კი 6 წლის ბავშვისთვის ისეთი სიტყვები, როგორცაა პონი,

დასი, მოლარე, პაერო-ბურთი, რომელიც ამ სახელმძღვანელოში გვხვდება? განა სხვა, უფრო ნაცნობი სიტყვების მოძებნა არ შეიძლება ამა თუ იმ ასობგერის შესასწავლად?

6. კვიტაშვილი



სამეგრელოს ღირსეული შვილები

ვლადიმერ ჭანტურისა ნიგინიდან იმასაც ვიგებთ, რომ გვანჯი ჩიქოვანის ერთ ბიძას, გიდ ემხვარის ძმას, ომარი რქმევია. ომარის ერთ-ერთი ვაჟი თამაზ ემხვარი მეფის ოფიცერი ყოფილა და რევოლუციის შემდეგ, როცა მეფის გვარდია დაუშლიათ, სამშობლოში, სოხუმში დაბრუნებულა. ერთ დღეს იგი ქუჩაში გადაყრია ნავსადგურში შემოსული გემიდან გადმოსულ რევოლუციურად განწყობილ მეზღვაურებს, რომელთაც თამაზი მასხრად აუგდიათ და მეფის ოფიცრის ბრწყვიალა სამხრეები აუგდევიათ. შეხლა-შემოხლაში თავმოყვარე, ფიცს თავადს რამდენიმე მეზღვაური მოუკლავს და თვალის დახამხამებაში მიმალულა. რევოლუციურ გემს ქალაქის ხელმძღვანელობისათვის ულტიმატუმი წარუდგენია, თუ სადამომდეგ მეზღვაურთა მკვლელს არ გადასცემდნენ, სოხუმს ზარბაზნებს დაუშენდნენ და დაანგრევდნენ. ეს არ იყო ტყუილი მუქარა.

სოხუმელებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ და თამაზ ემხვარი გამხეცებული მეზღვაურებისთვის გადაუციათ. გემბანზე ასული თავადიშვილი იმათ კვლავ აბუჩად აუგდიათ და ნვალბა დაუწყიათ. თამაზს უცერად ილიაში დამალული ბრაუნინგი დაუძვრია და ორი კაცი დაუცხრილავს. ამის მერე შურისმაძიებელ, გაცოფებულ მეზღვაურებს თამაზ ემხვარი გემის საქვაბეში ჩაუგდიათ და ცოცხლად დაუწვავთ.

ვლადიმერ ჭანტურია აქვე აღნიშნავს: **„ეს ისტორია რამდენადმე გადასხვაფერებულად და მხატვრულ ფორმებში აღწერილი აქვს მწერალ ლეო ქიაჩელს თავის მოთხრობაში „ჰაკი აბა“.**

ლეო ქიაჩელს სინამდვილეში მომხდარი თავისებურად რომ არ გადაეხარშა, არ გადაესხვაფერებინა და არ გადაეხარებინა, შენაფერისი ფორმა და ფსიქოლოგიური სიმართლე რომ არ მიეცა, მის უბრწყინვალეს მოთხრობას, ქართული პროზის ერთ-ერთ შედეგს, ასეთი სახე არ ექნებოდა.

ერთი ცნობილი ლიტერატურათმცოდნის ნათქვამი რომ გამოვიყენოთ — დამაჯერებლად, მართლად მხოლოდ ის შეიძლება მოყვე, რაც არა უბრალოდ „იყო“. აქ იგულისხმება **„უმაღლესი სიმართლე“**, რაც მხატვრულ გამოხატონს უკავშირდება.

მწერლის ამ უფლებას, ცხადია, ვერავინ გახდის საეჭვოდ. შეუსაბამობად მიგვაჩნია სხვა გარემოება — ვლადიმერ ჭანტურია იმომებს სოხუმის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგის, განათლებული და კეთილშობილი პიროვნების ნიკანდრი ბასილაიას 1954 წლის ნაამბობს. ამ ადამიანს, ახალგაზრდობისას სოხუმში გაუგია მომხდარი ტრაგედიის შესახებ და ჰყვება სხვისგან მოსმენილს. ამიტომ ზოგიერთ რამეს ლეგენდის შეფერილობა აქვს — გამოთქმულია ჩვენთვის ნაკლებად სარწმუნო მოსაზრება, თითქოს ეს ამბავი გახდა საბაბი გიდ ემხვარის ყაჩაღად გაგარდნისა.

„სწორედ ამ ოფიცრის (მას თამაზი ერქვა) ისტორიასთან არის დაკავშირებული გვანჯის მეორე ბიძის გიდი ემხვარის ისტორიაც.

მომხსენარი იგონებენ, რომ სწორედ იმ დროს, როცა ტრაგედია დატრიალდა თამაზ ემხვარის თავზე, იქვე, შორიახლო მჯდარა გიდი ემხვარი. როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, იგი პორტისკენ გაიქცა, სადაც უცაბედად რუს ჯარისკაცებს გადაეყარა და ერთი კაცი შემოაკვდა. ამის შემდეგ იგი ტყეში გაჭრილა აბრაგად. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან დასაღუპად განწირული თავადაზნაურობის უკანასკნელი იმედი სწორედ ეს გზა იყო, სხვა გზა მათ **„მოჭრილი ჰქონდათ“.**

გვანჯი ჩიქოვანის მონათხრობიდან სრულიად აშკარაა, რომ მისი საყვარელი ბიძა გიდ ემხვარი პოლიციელებთან შეჯახებისას 1901 წლის ივლისში დაღუპულა. ამ თავდასხმის დროს თვითონ გიდ ემხვარმა მოკლა

ორი კაცი — რაზმის მეთაური გოგოლიშვილი და ურიადნიკი ბერიძე. სოხუმში მომხდარი განმარტებული ტრაგედიის დროს, დაღუპვიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ, გიდ ემხვარი ბაღში ვერ იქნებოდა და თავისი ძმისწულის მისაშველებლად ვერ გაიქცეოდა. ლეო ქიაჩელს დოკუმენტური სიზუსტით აქვს აღნიშნული, რომ მის მოთხრობაში აღწერილი ამბავი მოხდა 1918 წელს, როცა რუსეთში უსასტიკესი სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

ისიც უეჭველია, თავის ბიძაშვილის, თამაზ ემხვარის ჯოჯოხეთური წამება გვანჯი ჩიქოვანს დანერვილებით და სხვებზე უკეთ ეცოდინებოდა (პირველი მსოფლიო ომის დროს ისინი ერთად მსახურობდნენ კავკასიურ, ე.წ. **„ველურ დივიზიაში“**), მაგრამ 1948 წელს, საბჭოურ პატიმრობაში მყოფი, იგი ვერ გაამხელდა, რომ მისი სისხლით ნათესავი რევოლუციონერ მეზღვაურებს შეეჯახა, რამდენიმე მათგანი მოკლა და თვითონაც დაიღუპა, ამაყი ვაჟკაცი როგორ ემსხვერპლა მათ ცინიზმსა და გაუგონარ ბარბაროსობას.

თუ რამდენად თავზარდამცემი, ჭკუიდან შემშლელი ყოფილა ეს წამება, ამის წარმოსადგენად ერთი ფაქტიც კმარა — გაგრის ძველმა მკვიდრმა, ამჟამად დევნილმა ქალ-

ბინა, თუმცა ზოგი რამ (ამის მიხედვით აღარ არის ძნელი) გვანჯ აფაქიძეს გვანჯი ჩიქოვანისა შერჩა.

თავის მონაყოლისა და იმ დიდი სახელის მიხედვით, რაც გვანჯი ჩიქოვანმა თავისი ცხოვრების მანძილზე მოიხვეჭა, შეუძლებელია იგი გაქნილ და გაიძვერა, სისხლიანი ინტრიგების დამხლართავ გვანჯ აფაქიძესთან გავაიგივოთ, მაგრამ არის რამდენიმე უეჭველი მომენტი, რითაც მწერალს უსარგებელია და რამაც რომანში არაერთგან იჩინა თავი. გვანჯ აფაქიძეც ცხენებისა და ცხენოსნობის უებრო მცოდნე, ნამდვილი ტრფიალია. გავიხსენოთ, რაღას არ კადრულობს ეს კაცი არზაყან ზვამბაიას სწორუპოვარი ცხენის, არაბიას ხელში ჩასაგდებად, როდენ ცოდნასა და სიყვარულს ამჟღავნებს აფაქიძე ამ უმშვენიერეს ცხოველთა მიმართ. მსგავსად გვანჯი ჩიქოვანისა, იგიც დიდად იყო დაახლოებული ზუგდიდში მცხოვრებ მიურატთა ოჯახთან, იმპერატორის კარზე მოტრიალე უმაღლესი წრის ქართველ თავადობასთან, რითაც ტრაბახობს ხოლმე და ძველ დროსაც სინანულით იგონებს.

„მოვარის მოტაცებაში“ გამოჩენისთანავე ჩვენ ვხვდებით **„ახმახ კაცს“**, **„ჩოხაშემოხვეულ“**, **„მთელ ქვეყანაზე აღწერილ ნა-**

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ბატონმა საშურა შენგელაიამ (იგი თამაზ ნადარეიშვილის დედა გახლავთ) მიაბო, რომ თამაზ ემხვარის უახლოესმა, განუყრელმა მეგობარმა, ოფიცერმა კონსტანტინე ლაქერბაიამ (იგი დედამისის, მერი ივანეს ასული შარვაშიძის პირველი მეუღლე იყო), ამ წრეგადასული საღიზმის თვალთმხილველმა, სოხუმიდან გუდაუთაში დაბრუნებისთანავე, საკუთარ ოთახში ჩაკეტილმა, რევოლვერით მოიკლა თავი.

მრავალჯერ თქმულა და დანერვილა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანის **„მოვარის მოტაცების“** ერთ-ერთი მთავარი გმირის, ნათავადარ გვანჯ აფაქიძის პროტოტიპი გვანჯი ჩიქოვანია. თვით ამ ნაწარმოებში, აგრეთვე, ვლადიმერ ჭანტურისა სხენებულ წიგნში უხვად არის ამის დამადასტურებელი მასალები.

ვლადიმერ ჭანტურისა მოაქვს ჟურნალისტ ისაკ ქორთუას ცნობა, რომ ნათესავის დასაფლავებაზე ზუგდიდში ჩასულ კონსტანტინე გამსახურდიას გვერდით მოუსვენს გვანჯი ჩიქოვანი და მწერალს სიამაყით უთქვამს: **„ეს ჩემი გვანჯი აფაქია და კიდევ მეტს გეტყვი: „მოვარის მოტაცება“ ამ დიდებულიმა კაცმა დამაწერიწაო“.** მერე პაპიროსს მოუკიდა და დაუმატა: **„ამ რამდენიმე ხნის წინ ინგლისიდან ერთმა ლორდმა ასეთი წერილი მომწერა. იმას წაუკითხავს ჩემი „მოვარის მოტაცება“ და შეკითხვას მისვამს, რომელი ვეროპელი სპეციალისტი იყო თქვენი მრჩეველი, ცხენის ხასიათები ასე კარგად რომ გაქვთ აღწერილიო.“**

აქ ბევრი რამ არის ნათქვამი, რათა ვირწმუნოთ, რომ გვანჯ აფაქიძის სახის შესაქმნელად გვანჯი ჩიქოვანის პიროვნება, მისი გარეგნობა და თვისებებია გამოყენებული. რომანის პერსონაჟსა და პროტოტიპს შორის საკმაოდ საგრძნობი განსხვავება იმან განაპირობა, რომ მწერალს, სოციალური დაკვეთის შესაბამისად, გლეხობასთან და პირისპირებული კლასობრივი მტრის სახე უნდა შეექმნა და ცხადი იყო, ამ ხასიათში რაღაცები უნდა შეეცვალა და გაემძაფრე-

თავადარს“, რომელიც დაურიდებლად ლანძღავს და აგინებს **„ქრისტეს ფეხის მკვნიტელ“** ბოლშევიკებს; იგი დახასიათებულია, როგორც თვით არზაყანის **„მოსისხლე მტერი“**. ამავე დროს გვანჯ აფაქიძე, როგორც მისი რეალური პროტოტიპი, **„ცხენოსნობის დიდოსტატია“** და აღტაცებას ვერ იოკებს, როცა მარულაზე ჩამოყვანილ ჯიშთან არაბიას ეფერება.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, რაც უნებლიეთ გვახსენებს გვანჯი ჩიქოვანის წარსულს:

„ისიც ასხენა, მისი ცხენები მთელს სარუსეთში ქებული რომ იყო. თავად პრინცი მიურატი რომ მის გაზრდილ ცხენებზე იჯდა. არც ის დაუმაღლავს, პრინცი მიურატი მას ყოველ მეორე დღეს სადილად რომ ჰპატიჟებდა. საოცარი ის იყო, თავისი ცხენების ფერიც, სახელიც და აღნაგობაც რომ ახსოვდა. ყველას სათითაოდ იგონებდა და ისე გულმოკლული ლაპარაკობდა მათ გამო, როგორც დედა ახსენებს ხოლმე თავის მიცვალებულ შვილებს. და ისე მტკივნეულად სჩიოდა გვანჯ, თითქოს გუშინ წაერთმიათ მისთვის ბოლშევიკებს ენგურის ქალები, კოდორის ნისქვილები, ცხენის რემა და თხის არვე“.

მიურატების ოჯახთან, პრინცესა სალომესთან ასეთი ახლო, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა სწორედ გვანჯი ჩიქოვანს ჰქონდა.

რომანში ნახსენებია წარსულში გვანჯ აფაქიძის **„აბრაგობა-ავკაცობა“**. სხვათა შორის, გვანჯი ჩიქოვანსაც უყრიდნენ ჭორებს, რომ იგი, ტყეში გაგარდნილი, ყაჩაღობდა და მას პრინცესა სალომესთან, ეკატერინე ჭაჭაჭაძის ქალიშვილთან, ამ მონაჩმის გამო, თავის მართლება მოუხდა.

მდაბიო წარმოშობის სიძესთან, ჯოტო გვასალასთან წარდის თამაში გართული გვანჯ აფაქიძე რომანის ბოლოს სინანულით წამოიძახებს:

„ყველას მოგიხდათ ეს წყეული დრო, შვილოსან, ჩემს გარდა, ყველას მოგიხდათ, დუ შაში არ დამიჯდა დროზე, თორემ მე ახლა ცარსკოე სელოში ვიქნებოდი გა-

მოჭიმული. პრინცესა მიურატს ჩემი ბედის კარტები უკვე ჩანყობილი ჰქონდა, შტალმაისტერი თუ არა, მისი მოადგილე მაინც გავხდებოდი. მერემ ის იყო, ამ წყეულმა რევოლუციამ მომიხსრო და დაფუშა ჩემი ცხოვრება“.

„მოვარის მოტაცებაში“ ტრაგიზმის მძაფრი განცდით, დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული თამარ შერვაშიძის მიერ დედის სამარის მონახულების ეპიზოდი. უღმობელი სიმართლით არის აღწერილი, თუ რა შემზარავი, დამთრგუნველი სურათი დახვდა ამ ულამაზეს, შველივით არსებას ახლობელთა აფუნგულ ძვალთშესალაგში:

„იავარქმნილი იყო მთელი სასაფლაო. გაღვანი აელოთ ჩრდილოეთისკენ, უზარმაზარი ცაცხვი მოქრათ, ღორები ჩიქნიდნენ მიწას, ბატების სკორეთი წაბილწულიყო სამარის ლოდები, წამოქციათ ფრთავაშლილი ანგელოსები, ისინი პირქვე დამხობილი ეყარნენ მიწაზე, თითქოს მეორედ მოსვლას ეგებებინათ. უნესრიგოდ ეყარა მიწაზე ლოდების წამუსრევი, ქვის ჯვრების წამსხვრევეები, „ინფანტერიის გენერლების“, „კოლფესკი ასესორების“, „კინაზების“, „ეპისკოპოსების“, მისი იმპერატორული უდიდებულესობის „კონვოის ოფიცრების“ ტიტულებიანი წარწერები. მათი სახელი ფეხით გაეთელათ ღორებს, სკორეთი და კურკლით წაებლნათ და მოესვარათ“.

ეს სწორედ ის ადამიანებია, ვის გვერდითაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა თავაზიანობითა და აღნაგობით, საქმიანობითა და სიტყვა-პასუხით გამოჩენულმა დიდებულმა კაცმა, გვანჯი ჩიქოვანმა, რის შემდეგაც წუთისოფლის სიმუხთლისა და ამაოების მთელი სიმწარე იწვინა. ულმობელმა ახალმა დრომ გათელა, გაანადგურა ეს კეთილშობილი პიროვნებანი, ხოლო მათ და მათს სახელოვან წინაპრებს წმინდათაწმინდა, სალოცავად მიჩნეული სამუდამო განსასვენებელი — საფლავებიც აღარ შეარჩინა.

მოგონებათა პირველსავე თავში გვანჯი ჩიქოვანი ახსენებს ქუთაისის გუბერნატორ ალექსანდრე გაგარინის მკვლელს, სვანეთის უკანასკნელ მთავარს კონსტანტინე დედუქელიანს, რომელსაც იგი დედის, კესა ემხვარის მხრივ ენათესავებოდა და რომლის შთამომავლებთან, ოჯახის ახლობლებთან (თვით დადუქელიანები, ემხვარები, დადიანები) ჩიქოვანებს მჭიდრო, ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ.

სამეგრელოში წლობით ნამსახურებ მეფის მოხელეს კორნელი ბოროზდინს თავის მოგონებათა წიგნში **„სამეგრელო და სვანეთი“** დანერვილებით აქვს აღწერილი გაგარინის მოკვლასთან დაკავშირებული გარემოებანი. სრულიად აშკარაა, რომ ქუთაისში მყოფი კონსტანტინე დედუქელიანი რატომღაც აითვალწუნეს, უკიდურესად გააღიზიანეს, შეიძლება ითქვას, გააცოფეს გენერალ-გუბერნატორის ხელქვეითმა ჩინოვნიკებმა უსლარმა და ბარტოლომიემ; მოვლენების საბედისწეროდ წარიმართა. საბოლოოდ, როცა გაგარინმა დადუქელიანს დროებით საცხოვრებლად ერევანში წასვლა მოსთხოვა (ეს იყო 1857 წლის ოქტომბერი. მეფის მთავრობას ამ დროს გადაწყვეტილი ჰქონდა გაეუქმებინა სვანეთის სამთავრო, ხოლო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე პეტერბურგში გასამგზავრებლად ჰყავდათ გამზადებული), მთავარმა სამი თვე ითხოვა სვანეთში წასასვლელად და საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. გაგარინმა (იგი იმპერატორისა და მთავარმართებლის ბრძანებას ასრულებდა, თუმცა შეიძლებოდა იგივე რომელიმე მისი ხელქვეითისთვის დაევალებინათ) კატეგორიული უარი განუცხადა, რასაც მოჰყვა სამიწელი ტრაგედია.

ემზარ კვიციანი
გარძელება შემდეგ ნომერში

“ანისტორია” – ისტორიის არცოდნა

არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკის მიხედვით დღევანდელ ქალაქ ვალს გოგეილი ეწოდებოდა. აქედან გვარი გოგეილი – ანუ გოგეილიდან (1654 წელს გალი ოდიშის შემადგენელი ნაწილი გახლდათ). იგივე შინაარსისაა გვარი ბანძელაძე, ანუ ბანძელი (ბანძა სოფელია მარტვილის რაიონში), ასევე, გვარი ორაგველიძე (ორაგველი ანუ ორაგვე-დან). ორაგვი სოფელია ლანჩხუთისა და ვანის რაიონებში. რაგვა, რაგვა მეგრულად ნიშნავს დაცემას, მოღობვას, მოსახლურას. იმავე მნიშვნელობისაა “არაგვი”, რომელიც სახლვარს ნიშნავს.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში (1834-1837 წლები) თურქეთისაგან განთავისუფლებულ და რუსეთის მიერ დაპყრობილ აბასჯიასა და სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე ჩატარდა მამაქაძის და წარმართი მოსახლეობის მონათვლის ღონისძიება. ვასკა გასვიანმა გახუთ “სამშობლოში” გამოაქვეყნა ამ ნათლობაში მონაწილე “აფხაზეთის ზოგიერთი თემის გვარების სია”. ამ სიიდან ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი გვარ-სახელები:

მახარია ლევანი (მახარაძე), ჯერგენაძე ქვარა (ქვარიანი), კოლონია ბაკურ (ბაკურაძე), გოგია ჩიგოვე და ვაჭარია ჩიგოვე (ჩიგოვიძე), გიციბაია გიორგობე და მეშულია გიორგობე (გიორგობიანი), თანია კალმახი (კალმახელიძე), ცუკუ ჭანიას ნაცოლევი რაზმა (რაზმაძე), ნანია ჭიჭინა (ჭიჭინაძე), შეყრილავა ქალბოჩი, მანია ამისი ლაზ. კვაჯი (შეყრილაძე).

შესაძლებელია იყო პირიქით შემთხვევები, მაგალითად, დავეუფოთ, რომ იყო ჯერ “შეყრილაძე” და შემდგომ “შეყრილავა”, მაგრამ გამოჩნდა ისევე საერთო სურათს ვერ შეცვლიან.

ი. ყოფშიძეს ოდიშში გავრცელებულ სახელწოდებებს შორის მოხსენიებული აქვს მამაკაცის სახელი – გოძია და ქალის სახელი – ბუნუ, რომლებიც შესაბამისად ფუძეებიან გვარებისა – გოძიაშვილი და ბუნუკური.

ალექსანდრე დლონტს ზუგდიდის რაიონში დაფიქსირებული აქვს სახელი ზოსია (ზოსიაშვილი), ჩხოროწყუში – იგუტი (იგუტაშვილი), ასევე ჩხოროწყუში – კერე (კერესელიძე), სალხინოში და ნოქალაქეში – სახელები ბატუ და ბატუა (ბატუაშვილი, ბატუორია, ბატატუაშვილი, ბატიაშვილი). საკმაოდ პოპულარულია

სამეგრელოში გავრცელებული სახელი მაცი (მაცი ხეიტია, მაცაბერიძე, მაციშვილი, მაციკიძე, მაციაშვილი, მაცუიშვილი). – (ი. ასუაშვილი, “ქართული გვარ-სახელები”).

მრავალი მეგრული და არამეგრული გვარების შემადგენელია სიტყვა “ბერი”, რომელიც მეგრულ-ჭანურად შვილს, ვაჟიშვილს აღნიშნავს.

ბერია, ბერიძე, თუთბერიძე (თუთა-მთავარ-მთავარის ვაჟი), მიქა-ბერი-ძე (მიქას ვაჟი), მაცა-ბერი-ძე (მაცის ვაჟი), ვანი-ბერი-ძე (ვანი – თხა, იგი წმინდა ცხოველად ითვლებოდა), სულა-ბერი-ძე, დოლო-ბერი-ძე და ა.შ.

ისტორიული სახელებია ჭია-ბერი, კახა-ბერი, კაკუ-ბერი...

გაეცანით ი. ასუაშვილის მიერ მოიპოვებულ “ბერი“-სთან დაკავშირებულ გვარებს: ბერიანიძე, ბერაია, ბერიაძე, ბერაკაშვილი, ბერასხვიშვილი, ბერაული, ბერაძე, ბერბერიშვილი, ბურგუნიშვილი, ბურგულიშვილი, ბერდია, ბერდიაშვილი, ბერდიკელი, ბერნიაშვილი, ბერელაშვილი, ბერიკაშვილი, ბერინაშვილი, ბერიტაშვილი, ბერული, ბერულავა...

ხოციერთს მიაჩნია, რომ საქართველოს აღმოსავლეთით “ბერი“-დან ნაწარმოები გვარები წარმოდგება რელიგიური “ბერი“-ს მნიშვნელობიდან, რაც უკვე მკრეხელობაა, ვინაიდან ბერად შემდგარს არ ჰქონდა უფლება შვილი ჰყოლოდა. თავად სიტყვა “ბერი” ასევე მხოლოდ ვაჟს აღნიშნავს რელიგიური გაგებით, ანუ ბერად შედგომა, ნიშნავდა ღვთის ვაჟად, შვილად შედგომას. ბერად ძირითადად ხანში შესული ხალხი დგებოდა და ქართულში დაშვებულა “ბე-ბერი”. სახელწოდებები “ბერიკა”, “ბერიკაო-ბა”, ასევე “ბერი“-დან ნაწარმოები სახელებია. ბერიკები ხომ ვაჟები იყვნენ. სახელწოდება ბერთან დაკავშირებით გადასაწვევტია ერთი პრინციპული საკითხი, რომელსაც მოგვიანებით ცალკე შევეხებით.

ჩვენ სადღეისოდ დაკარგული გვაქვს მრავალი კოლხური სიტყვის მნიშვნელობა, ანუ ქართულმა გვარებმა შემოგვიტანეს კოლხური სიტყვები, რომელთა შინაარსი დღეს უცნობია. მაგალითად ნუცუბი-ძე, ხინთიბი-ძე, ბოცვა-ძე, ჭონქა-ძე, დუმბა-ძე, ყიფში-ძე, კუჭუხი-ძე, ჩოგოვა-ძე... ამ ტიპის გვარები კოლხური არქიტექტურისა და არაა და თითოეული თავისი მნიშვნელობა გაანინდა, ვინაიდან არაფრისმთქმელი გვარი არ იქმნებოდა. მაგალითისათვის მოვაწვდით გვარს სანიკი-ძე). ამ გვარის არქიტექტურის

(წყობი) გარშემო საინტერესო შედარებები შეიძლება მოიძებნოს. როგორც ვიცი, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში არსებობდა კოლხური ტომი ბერძნული გამოსახვით “სანიგი”. ვინაიდან ბერძნებს არ გააჩნდათ ბგერები “წ”, “ყ”, “ფ”, “ჯ” და ამ ბგერებს უცხო ტომთა სიტყვებში ცვლიდნენ ბგერა “ს“-თი, ამდენად “სანიგი“-ს ქვეშ ჩვენ შეგვიძლია ვინაგარიშთ “წანიგი”, “ხანიგი”, “შანიგი” და “ჭანიგი”. მით უმეტეს, რომ სამხრეთ კოლხეთში ჭანების სახელწოდებას ბერძნები გამოსახავდნენ, როგორც “სანიკე”. ჩვენ ამ შემთხვევაში ვერ ვადგენთ “სანიკი“-ს მნიშვნელობას, მაგრამ ვხვდებით, რომ ეს გვარი კოლხური წარმომავლობისა და უძველესი ცოდნის მატარებელია.

ბარათაშვილები

ვისარგებლოთ ი. ასუაშვილის მასალებით ბარათაშვილების გვარის წარმომავლობის დასადგენად: “ბარათაშვილების (ქვემო ქართლის თავადების) წინაპრები ქაჩიბაძე (ქაჩიბაძე)-ები იყვნენ და ქართლში აფხაზეთიდან გადმოსულან XI-XIII საუკუნეებში. ჩვენთვის ცნობილი ამ გვარის პირველი წარმომადგენელი არის ბარათა ქაჩიბაძე (ქაჩიბაძე) XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე... ბარათაშვილების გვარი შემდეგნაირად გამრავლდა: ქაჩიბაძეები, გერმანოზიშვილები, გოსტაბაშვილები, ფალავან-ხოსროშვილები, იოთამაშვილები, ყაფლანიშვილები-ორბელიშვილები, აბაშიშვილები, იარღლისშვილები, ზურაბისშვილები, ქავთარაშვილები, თაყაშვილები, გიორგიშვილები, ზაალიშვილები, ასლანიშვილები, თურქისტანიშვილები. ბარათაშვილები იყვნენ ყმა-გლეხებიც... ჯანაშიას პიპოტეზით ქაჩიბაძეები დასავლეთ საქართველოდან უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი, საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის, ან მის უშუალო წინამორბედ პერიოდში (X-XIII საუკუნეები), სხვა ლიხთიმურედ კოლონიზატორებთან ერთად”.

გვარი ქაჩიბაძე ქართულ სინამდვილეში არ არსებობს, ხოლო გვარი ქაჩიბაია დღესაც მძლავრობს (ჩაიხვეთ ტელეფონის წიგნში). სახელწოდება “აფხაზეთი” XVII საუკუნემდე საქართველოს აღნიშნავდა და, ეჭვს გარეშეა, რომ ბარათაშვილების წინაპრები იყვნენ ქაჩიბაძეები, რომელთა გვარიც შემდგომ, როდესაც იწყება მეგრული გვარების გადაქართულება, გად-

მოცემაში შეიცვალა როგორც ქაჩიბაძე (ქაჩიბაძე). ჩვენს სინამდვილეში არსებობს მრავალი გადმოქართულებული მეგრული წარმომავლობის გვარები:

ჭყონია ჭყიძე, ჭილაია ჭილაძე, ჭელია ჭელიძე, გოგუა გოგუაძე, გოგიტა გოგიტაშვილი, კალანდია კალანდიაძე, კეკელია კეკელიძე, პატარაია პატარაძე, გვარამია გვარამიძე, ბარამია ბარამიძე, თორია თორაძე, მასისია მასისაშვილი, ყურუა ყურაშვილი, ანთია ანთაძე, კობახია კობახიძე, კვანტალია კვანტალიანი, კოდონია კოდონაშვილი, იოსავა იოსელიანი, სურცია სურციძე, მიქავა მიქაძე, ბაკურია ბაკურაძე, გელენავა გელენაშვილი, ლომია ლომიძე, ბერია ბერიძე, აბურჯანია ბურჯანაძე, ფანულია ფანუაშვილი, დარსალია დარსაძე, შარია შარაძე, მამულია მამულაშვილი, გულია გულიაშვილი, რატია რატიანი რატიშვილი, მოსია მოსიაშვილი, მაქაცარია მაქაცარაშვილი, გამრეკელია გამრეკელიძე, რუხია რუხაძე, ლაშქარავა ლაშქარაშვილი, წიფურია წიფურიძე...

არსებობს აზრი, რომ გვარები დამთავრებული “ზაია“-თი (ქაჩიბაია, ზუხბაია, ყოლბაია, ქეცბაია...) აფსუური წარმოშობისაა არიან, ანუ გვარების დამთავრება “ზა“-თი მსგავსად ადლებია, იშნაბა, გუნბა... აფსუთა წესია და შემდგომ ის გვარები მეგრული სათვის დამახასიათებელი ბოლოსართი “ია“-ს დამატებით გადაკეთებული, გამეგრებულია. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს ანისტორიის გამოვლინებებს.

გვარების დაბოლოება ბოლოსართი “ზა“-თი არ ვახლავთ აფსუთა პრეროგატივა. “ზა” მცირეაზიური კულტურის იმ უძველესი დროის მკვიდრია, როდესაც სიტყვა ერთ თანხმოვანს შეიცავდა და ნიშნავდა მცნებას – პატარა. “ზა-ჩა” სპარსულად არის ბავშვი, ქართულად “ზაჩა” პატარა ტანის საქონელია. ბატკანი – ჩილი თიკანი. “ზა” რომ პატარას ნიშნავს, კარგად ჩანს სიტყვაში “ზაუშვი”, “ზარტყი”. “ზაუშვი” უნდა იყოს მეგრული “ზადანას” კალკა. “დან” მეგრულად ნიშნავს ყოლას, ქონებას, მოტანილს. ე.ი. “ზადანა” ბა-მეყვს (დაახლოებით). ქართული “ბავშვი“-ს მეგრულად წარმოქმნას მიგვანიშნებს ისი, რომ ქართული “შობა” წარმოდგება მეგრული “შობა“-დან.

ჯუნი (ჯუმბარ) კაპულია (გაგრძელება იქნება)

ისტორიის კიდევ ერთი გადაუღილი ფურცელი

ისტორიამ გაითავისა კიდევ ერთი ღირშესანიშნავი თარიღი – 27 ოქტომბერი და დაგვიდგა ახალი ერა თავისი ბრწყინვალე იმედებით, გადასაჭრელი პრობლემებით, შთაგონებული შრომითა და გარჯით. თუ სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლით დაგვიდგა ვამი საბედისწერო ბოროტებისა, კაცთმოძულეობის სიშმაგისა, უგუნურების ამხედრებისა, ამჟამად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. ისტორიამ იცის სახელის, აზრის შინაარსის მრავალსახეობის უამრავი მაგალითი, როცა ერთი ჩანდა, მიღმა კი მეორე იყო, როცა სიტყვა დაიმკრთავდა განსხვავებულად საქმისაგან, როცა სიკეთე ერქვა, ბოროტებას კი თესდა, როცა ამბობდნენ ბედნიერებას და სიყვარულს, იქმნდნენ კაცის კვლასა და ნგრევას, როცა ბოროტისა და სიკეთის ჭიდილში უკედმართობა იყო დამკვიდრებული, როცა თეთრს ისე წარმოდგენდნენ, როგორც შავს, ენიან უფროდ გამოიყვანდნენ, ბრიყვს – ზრდილობიანად, სულელს – ჭკვიანად. იმ ავადმოსავონარ პერიოდში, რასაც სააკაშვილის ერთმმართველობა ერქვა, რუტინა, კაცთმოძულეობა, ბოროტების მოძალდება მასიური ავადობად ჰქონდა ქვეყანას მოედებო.

ამ ბოროტი მმართველობიდან გამომდინარე, მიხედვით სააკაშვილზე მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: მას ალბათ ბაღდადისაგან არ შთაუნერგეს სიმართლისა და პატიოსნებისადმი ერთგულება, ავისაგან კარგის გამორჩევა, დაერღობილის შენდობა, წაქცეულის შეწყნარება, უბედურების შებრალება, სამართლიანობისათვის თავგანწირვა, წინაპრის ღვაწლის დაფასება, აკარგინება, მამულიშვილობა, ქველმოქმედება,

ბოროტებასთან ბრძოლა სიკეთის დასამკვიდრებლად, შავისა და თეთრის გარჩევა და ა.შ. და ა.შ.

ჩვენ გვიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც მივხვდით, რომ სააკაშვილი არ არის ჭეშმარიტი (როგორც ეთნიკურად, ასევე – სულიერად) ქართველი.

როგორც იქნა დაგვიდგა ნანატრი ვამი, როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი გაპოინდა პოლიტიკურ ასპარეზზე და გაგვიჩინა ტკბილად დაბერების იმედი, რისი სურვილიც ყოველთვის გვქონდა და ეს სურვილი საქართველოში კაცური კაცობის სახალხო პიშიდა, რომელსაც საუკუნეებში გამოუტარებია ჩვენი პირნათელი ერი, რამეთუ საქართველოს წარსულიცა და აწმყოც ჩვენია, დავითის, თამარის, შოთას მემკვიდრეები ჩვენა ვართ, საქართველოს მკვიდრნი და ბატონ-პატრონიც ჩვენა ვართ, რომ ჩვენ აქ, ერთადერთ საქართველოში ვაერთიანებთ წარსულის სიყვარულსაც და აწმყოს თავყვანისცემასაც, რომ გაყოფილი საქართველო არ არსებობს.

არჩევნებმა, რომელმაც წერტილი დაუსვა ნაცემობის თავხედურ პარპაშს, გაგვიჩინა დიდი იმედი და რწმენა, რომ სახელმწიფო საღვთად ერთად სამართავად ერთგულად მოქალაქეებს, პატრონებს, ინტერნაციონალისტებს, მამულიშვილებს, თავმდაბლებს, პატიოსნებსა და რწმენის ერთგულ პიროვნებებს. ამ ღირშესანიშნავ მოვლენას, რომელმაც ძირეულად უნდა შეცვალოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, ისიც დაემთხვა, რომ, როგორც იქნა, გაიღვიძა ზუგდიდმა, გვეღირსა გვესწავლა ავისა და კარგის გარჩევა. მართალია, უმრავლესობამ ხმა მისცა მომავალს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაინც ბევრი იყო პრო-

ცენტული მანევრებელი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატზე, მეტსახელად “ჩანგალაზე” მიცემული ხმებისა. ის ხალხი, რომელმაც “ჩანგალას” ხმა მისცა, ალბათ, თუ საჭირო გახდა, მასთან ერთად შეებრძოლება რუსის არმიას თოხ-ჩინაბ-ბარით. მკითხველს ალბათ ძალიან კარგად ახსოვს სააკაშვილის ანაკლიაში ვიოიაჟი, როცა ზღვის ქაივიდან “აფროდიტესავით” ამოსულმა ქალბატონმა, როგორ ჩაპროშტნა მიშა. როგორც ცნობილია, ანაკლიიდან თურქეთში გადასვამდათ გასაყვად გატაცებული ტყვეები და ამიტომ დაერქვა ამ ადგილს ანაკლია, “ანაკლიანსაგან” გამოიმდინარე. ახლა ანაკლიელები ხუმრობენ: ანამ ისევ დაიწყო კივილი მიშას რომ ვერ ხედავსო. ისე, სააკაშვილის სულ ქალები ესალმებოდნენ და ღოწმინდნენ, მამაკაცები კი – იშვიათად, თუ არ ჩავთვლით იმათ, ვინც ოჯახში ქალის მოვალეობას ასრულებს.

ნუთუ ასე უიმედოდ შემოგვეყვავებდა ქართული ისტორიული სიამაყე და თავმოყვარეობა?

კი ბატონო! გაიმარჯვა საღმა აზრმა, გვეღირსა გამოვდივება, მაგრამ სამართლმა თუ პური არ ჭამა, გამარჯვება ჯერ კიდევ შორს დაგვიჩნდა. არავინ აჯობა იმის მომხრე, რომ ყველა დამამაშვე ეშფოტზე ან გილიოტინაზე გაიყვანოთ და თავები წავათალოთ, მაგრამ ყველამ თავის ქმედებებზე მკაცრად უნდა აგოს პასუხი. თუ შენდობასა და პატიებაზე მიღვა საქმე, შეიძლება შეგუნდოთ მხოლოდ მათ, ვინც საჯაროდ მიიწინააღმდეგა მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ხოლო თუ დანაშაული არ აღიარა, მაშინ რა უნდა შეგუნდოთ? ნაციონალთა ცინიზმი კი ამოგაჟღერა აუ-

ვანილი და პიკს აღწევს და ამერიკისაგან გათამამებულიები არამც თუ აღიარებენ ძველ დანაშაულს, არამედ ახალსაც სიამოვნებით ჩაიხვენენ. ამიტომაც იბადება იმის სერიოზული ეჭვი, რომ ამერიკას ხელს არ აძლევს საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრება!

განა ამის დასტური არ ვახლავთ ის, რომ ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბევრად უფრო აქტიურობდა, ვიდრე ქართული ელექტორატი?

ამიტომ იბადება კითხვა: ვინ ეკითხება ამერიკას ჩვენს საშინაო საქმეებს?

რატომ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად გამოვხატოთ ჩვენი ნება? ან რატომ უნდა ვეკითხებოდეთ ამერიკას, თუ ვის ავირჩევთ მეგობად?

ჩვენი სრულუფლებიანი ელჩი თუ არ ერევა ამერიკის საშინაო საქმეებში, რატომ უნდა აძლევდეს თავს ამის უფლებას ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი? წარმოიდგინეთ, როგორი კინწისკერით გამოაბუნებლებენ ჩვენს ელჩს ამერიკიდან, იქაურ საქმეებში რომ ჩაერიოს!

მაშ ჩვენ რა გვჭირს, რა ზნე შეგვეყარა ასეთი, რომ ამერიკის ნებართვის გარეშე ცხვირის დაცემინებასაც კი ვეღარ ვებუდავთ?

თუ ასე ძლიერ შესტკივთ გული ამერიკელებს სააკაშვილზე, წაიყვანონ თან და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, ჩვენ კი თავი გაგვანებონ!

აი, რა არის ჩვენი უპირველესი საფიქრალი!

როზმირ ბოშენია, ზუგდიდი

“ბინძური ომის” საქმე – პოლიტიკური ტერორიზმის სპანდალი საქართველოს შიგნით

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უმრავლესობასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ გაუჩინარებული ადამიანების საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება და უახლოეს ხანში მოსახლეობა გაიგებს, თუ როგორ ხდებოდა ადამიანების უგზო-უკვლოდ დაკარგვა. ღარიბაშვილისავე თქმით, გატაცებისა და ლიკვიდაციის საქმეებში წინა ხელისუფლების მადლჩინოსნების დანაშაული იკვეთება. მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, რომელი საქმეები მოხვდა გამოძიების ინტერესთა ნუსხაში, თუმცა სავარაუდოდ, მათ შორის უნდა იყოს ორი ქართველი მხედრის – პაატა ქარდავას და ორი შავადიის საქმეები. თუმცა სანამ ამ საქმეებზე ვისაუბრებთ, უნდა ვთქვათ, რომ სახელმწიფო ტერორიზმის ფორმას, რომელიც ადამიანების გატაცებას, მათ ლიკვიდაციას და მათ “გაქრობას” გულისხმობს, დასავლეთში “ბინძურ ომს” უწოდებენ. ძნელი სათქმელია, როდის გაიხსნება “ბინძური ომის” საქმე. თუმცა ალბათ, ეს მაინც და მაინც შორეული პერსპექტივა არ არის და სავარაუდოდ, პოლიტიკური ტერორიზმის სპანდალი საქართველოს შიგნით.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებული პიროვნებების ბუნდოვანებით მოცულ გაუჩინარებას, შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 27 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრიდან დაიკარგა თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი პაატა ქარდავა. იმავე დღეს მისი ავტომანქანა სოფელ კოკთან, მდინარე ენგურის სიახლოვეს იპოვეს...

2008 წლის 16 აგვისტოს კი სოფლის სპეცრაზმა ბათუმის ცენტრში დააკავა

ომიდან დაბრუნებული თავდაცვის სამინისტროს მხედრები, უფროსი სერჟანტი როინ შავაძე. მოგვიანებით შავაძე აჭარა-გურჯისტანის სახლვარზე, სოფელ ქაქუთთან დახვრებილი იპოვეს. ოფიციალური ინფორმაციით, შავაძე ნარკოტიკების გამო დააკავეს, ეტაპირებისას კი გატაცებას შეეცადა და ჩაცხრილეს. არაოფიციალურად ცნობილია, რომ შავაძეც ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა ამ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა. საქმე დღემდე გაუსხსნელია...

მრისტიანი მარტაშვილი, პაატა ქარდავას ქალიშვილი: – 2008 წლის 27 აგვისტოს მე და მამა ერთად გავედით შინიდან. დაახლოებით 11 საათზე მამამ ზუგდიდის ბაზრის კართან დამტოვა, თვითონ სამსახურში წავიდა და მითხრა, საქმეს რომ მოითავებ, დამირეკე და გამოვალ. როდესაც დავეურეკე, მითხრა, რაღაც საქმე გამომიჩნდა, სასწრაფოდ უნდა წავიდე. შენ ტაქსით წადი და მალე მოვალ. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა და მამაზე ვერაფერი შევიტყვეთ...

დღის მეორე ნახევარში განგაში აეტყებო. ვინაიდან სამივე ტელეფონი გამორთული ჰქონდა. დავიწყეთ ძებნა, ავარიალდო სამეგობრო წრე, თანამშრომლები. კოკი-ხურჩის სახლვარისკენ წასულმა პოლიციელებმა განაცხადეს, პაატა ქარდავას მანქანა კოკი-ხურჩის სახლვარზე იყო, დავვირეკეს, წამოვიყვანეთ და ახლა დარჩენილი პოლიციაშია.

როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მამას მანქანა 27 აგვისტოს 12 საათისთვის ხობის რაიონის სოფელ პირიველ მაისთან უნახავთ. პატრულის თანამშრომელი ჩვენი მეზობელია და მან ჩვენებაშიც აღნიშნა, რომ მანქანა ნახევარი საათის განმავლობაში იდგა ამ სოფელში დანგრეულ შენობასთან. ჩემი ოჯახის წევრები იმ საღამოსვე წავიდნენ ინფორმაციის გადასამოწმებლად. თვითმხილველთა შორის იყო არასრულწლოვანი, რომლის აღწერილობაც მამას ჩაცმულობა-გარეგნობას ემთხვეოდა. მისი მონაცემით, მამა გადმოუყვანიათ მანქანიდან – აშკარად ეტყობოდა, საკუთარი სურვილით არ მოქმედებდა, არ ვიცი, ან ნახვამი იყო, ან გაითმულ მდგომარეობაში. თავისი “მერსედესიდან” გადაუსვამთ ჯიპში და თბილისის მიმართულებით წაუყვანიათ. როგორც ჩანს, შემდეგ მამას “მერსედესი” კოკი-ხურჩის სახლვარისკენ წამოიყვანეს,

რათა ორიენტაცია აფხაზეთისკენ გეგმიური იყო. მესამე დღეს საქმე გატაცების მუხლით აღიძრა.

იყო ასეთი ვერსია – თითქოს მამა იყო ჯაშუში, მან სამშობლოს უღალატა და გაიქცა აფხაზეთში, თუმცა ეს ვერ დაადასტურეს. გვეუბნებოდნენ, თითქოს მამა აფხაზეთს ჰყავდათ და ტყვეზე უნდოდით მისი გადგევა. აფხაზეთში უამრავი ნაცნობი და ნათესავი გვეყავს, მათ გვითხრეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ნამდვილად არ არის.

– რა ვერსია გაქვთ ოჯახს, ვისზე ან რაზე გაქვთ ეჭვი? იქნებ ეს ყველაფერი მის სადაზვერვო საქმიანობას უკავშირდება?

– ხელს ვერაფერს დავადებთ. ფაქტია, წინა ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია ამ საქმის გამოსაძიებლად. დაიწვეს მონივრებით გამოძიება და შემდეგ საქმე თაროზე შემოედგა. არ გამოვრცხავთ, რომ მან ისეთი რამ იცოდა, რაც არ უნდა სცოდნოდა და ამიტომ გააქრეს, მაგრამ ეს ვერსიის დონეზე რჩება და რით დავამტკიცო?

ციციანი შავაძე, ორი შავადის ქვრივი:

– ჩემი მეუღლის გატაცება-მკვლელობაში წინა ხელისუფლების კვალი რომ იკვეთება, უდავოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საქმის გამოძიებას 5 წელი კი არ დასჭირდებოდა, ამისთვის 5 დღეც საკმარისი იქნებოდა. ჩემს ქმარს არც მტრები ჰყავდა და არც ბრძოლის ველი დაუტოვებია 2008 წელს, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა. დარწმუნებული ვარ, რაიმე რაღაც იცოდა, მათ საიდუმლოს გამჟღავნების შეეშინდათ და ამიტომაც მოიშორეს. რაიმე მითავარი მხედრები იყო და უამრავ ინფორმაციას ფლობდა. დაინახა, როგორ გაყიდეს ომის დროს ხალხი და ქვეყანა.

– გვიამბეთ იმ საბედისწერო დღის შესახებ...

– როინი 15 აგვისტოს ჩამოვიდა ომიდან და სამსახურში გამოცხადდა. მეორე დღეს აიყვანეს ბათუმში და მის ასავალ-დასავალს ვედარსად მივაკვლიეთ. ბოლოს გვითხრეს, დაიჭირეს და თბილისში წაიყვანეს. მოგვიანებით უბნის პოლიციიდან მოგვადგინეს და გვითხრეს, რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციაშია. მივედით და უკვე პროხეტურაში დაგვხვდა. ჩემს ქმარს 24 ტყვეა ჰქონდა მოხვედრილი – ფეხები, ხელები, თითები, კისერი, დამგრეული ჰქონდა, წელშიც გადატყვილი



იყო და ამით რომ უსმინოთ, ასეთი დასახი-ჩრებელი ადამიანი თურმე გარბოდა. გაირკვევა ყველაფერი, ვინ მოღალატეა და ვინ – მტერი. კაცს 15 ორდენი ჰქონდა მიღებული, ან რა უნდა ეთქვას, სიგელებსა და ორდენებს ვის ვაძლევდით, სამშობლოს მოღალატეს? ისიც კი დააბრალებს, ნარკოტიკები ჰქონდა ჯიბეში. არა და, 200 კაცი დაიკითხა და ყველამ თქვა, არც კი გაუხსრევიათ. მერე გვითხრებდნენ, აგერა მკვლელი “მაიშუნა” (ბათუმის კულ-ის თანამშრომელი გიორგი ჩიქოვანი) და მოკალით. ისიც გვითხრეს, 50.000 აიღეთ და გახშვით. დაფარული ნომრებიდან გვირეკავდნენ და გვემუქრებოდნენ, დაგხოცავთ, სოფელში წყალს მოგიწამლავთ. ჩვენ მაშინ არ გაგვჩერებულვართ და ახლა რა გავგანერვებს?

ოპერაცია “კონდორი”

სახელმწიფო ტერორიზმის განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს არგენტინაში 1976-1983 წლებში, სამხედრო ხუნტის მმართველობის დროს მიადგინა – ის ოპერაცია “კონდორის” ნაწილი იყო. ხუნტამ 10 ათასი ადამიანის ლიკვიდაცია მოახდინა, 30 ათასი კი უგზო-უკვლოდ “გააქრეს”. 2012 წელს ხუნტის ხელმძღვანელები სორზე ვიდელი და რეინალდო ბინიონე დააკავეს და დამნაშავედ ცნეს მასობრივ გატაცებებსა და მკვლელობებში. მათ შესაბამისად, 30 და 50 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

6. შიცხელაური



ლილი ბერაია: პერსონალიზმი, თუ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორია ოდესმე პერსონალიზმის ხელში აღმოჩნდებოდა

საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კრძალავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების გასხვისებას. კულტურული ძეგლის სარგებლობაში გადაცემა კი დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, რაც, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრული მფლობელების პირობით ხორციელდება. ამ კანონის მიუხედავად, ცოტა ხნის წინ გაგრძელდა ინფორმაცია, ზუგდიდში დადიანების სასახლის კუთვნილებაში არსებული 994 კვმ ფართობის მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სასახლის მუზეუმის დირექტორს ლილი ბერაიას დაუკავშირდა.

– როგორ მოხდა მიწის ნაკვეთის გასხვისება და მისი მოხვედრა კერძო მფლობელის ხელში?

– იმ დროისთვის, როდესაც მიწის გარკვეული ნაწილი კერძო მფლობელის ხელში გადავიდა, მუზეუმის ბაზაზე სამეცნიერო ცენტრი შეიქმნა. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის ის მეცნიერებათა აკადემიას ეკუთვნოდა და მის დაქვემდებარებაში იყო. მე ნამდვილად არ ვფლობ ინფორმაციას, თუ ვისზე ან რამდენ კერძო პირზე იყო მიწა გასხვისებული. თქვენ შეგიძლიათ მასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის მიმართოთ. იქ იურისტები ყველაფერში გაგარკვევენ. მიწის ნაკვეთის გასხვისების დროს მე

არ ვიყავი მუზეუმის დირექტორი. აღნიშნულ თანამდებობაზე 2007 წელს დამნიშნეს და ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად არაფერი იცოდი. სიმართლე გითხრათ, ვერც ვიფიქრებდი, რომ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ტერიტორია ოდესმე კერძო მფლობელის ხელში აღმოჩნდებოდა. აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვით, როგორ მოხდა მიწის ნაკვეთი კერძო მფლობელის ხელში. ეს ამბავი საჯარო რეესტრში სრულიად შემთხვევით გავიგე. მიწა ჩემთვის უზურფრუქტით უნდა გადამოცემა და რეესტრში სწორედ ამ საკითხის გამო წავიდა. დაკანონებაზე მისულებს კი ხელთ ჩამოვიტოვა უკვე გასხვისებული და კერძო მფლობელზე დარეგისტრირებული 994 კვმ მიწის ნაკვეთი.

დადიანების სასახლე, ისევე, როგორც ყველა კულტურული ძეგლი თუ ტერიტორია სახელმწიფოს და საზოგადოებას ეკუთვნის. სწორედ ამიტომ დირექტორად დანიშნის შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი ტერიტორიის მუზეუმისთვის დაკანონებას. მინდოდა, სასახლის ირგვლივ არსებული მიწები მიწის ტერიტორია მის მფლობელობაში ყოფილიყო.

ჩვენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი 2005 წელს გავეხდით. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს კი სასახლის ირგვლივ არსებული ტერიტორია დაკანონებული უნდა ჰქონოდა უზურფრუქტის წესით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გეგმიურად სასახლის ტერიტორიით სარგებლობის უფლება იმ პირობით, თუ მას არაფერი დააკლდება. ახალი მთავრობის დროს ისევ დაიწყო ამ საქმის განხილვა და მთელ რიგ საკითხებზე მუშაობა. ყველა ის დოკუმენტი და საბუთი, რომელიც ამ საკითხის სამართლებრივად

დასრულებისთვისაა საჭირო და აუცილებელი, უკვე იურისტთა გადაცემული. გასხვისების თემაზე მუშაობა საფუძვლიანად მიმდინარეობს. ძალიან ცუდია, როდესაც გაიგებ, რომ 994 კვმ მიწის ნაკვეთი, რომელიც წესით და კანონით სასახლეს და შესაბამისად სახელმწიფოს ეკუთვნის, თურმე კერძო მფლობელის ხელში ყოფილა. უარესი კი ისაა, რომ ეს გასხვისების თემა ჩუმად, ფორულად მიმდინარეობდა და შესაბამისად, ამის შესახებ ჩვენც არაფერი ვიცოდით.

მთელი რიგი იურიდიული საკითხებია განსახილველი და დეტალურად შესასწავლი, ვინაიდან ისტორიული მიწის გასხვისება კერძო პირზე ხდებოდა. ეს კი უკვე კანონის დარღვევა და დანაშაულია. ჩვენ 7,1 ჰექტარი გასხვისებული მიწის ფართობის სასახლისთვის დაბრუნებას სამართლიანად ვითხოვთ და დავებრუნებთ კიდევ!

– ახლა რა პროცესები მიმდინარეობს გასხვისებული მიწის ნაკვეთის ირგვლივ?

– 21 ნოემბერს სასახლეში კულტურის მინისტრი გვეწვია. მან სასახლის მთელი ტერიტორია დაათვალიერა, მათ შორის, გასხვისებული მიწის ნაკვეთიც. მინისტრმა აღნიშნა, რომ სასახლე მისი ტერიტორიით საქართველოს კულტურული ძეგლია და სწორედ ამიტომ კულტურის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს გასხვისებული მიწის ნაკვეთის კვლავ სასახლისთვის დასაბრუნებლად. პირადად მე დიდი იმედი მაქვს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერის. მჯერა, რომ ამ პრობლემას აუცილებლად ეშველება და სასახლის ტერიტორიას უმცირესი მიწის ნაკვეთიც კი არ დააკლდება.

ამ ეტაპზე ვცდილობთ, რომ გასხვისებული ტერიტორია დადიანების სასახლესა

და ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს რაც შეიძლება მოკლე დროში დაუკანონდეს. უკან არავითარ შემთხვევაში არ დავიხვეთ და ჩვენს პოზიციას ყველაფერს მყარად დავაფიქსირებთ. ამ საქმეში სასამართლოს ჩარევაც რომ დაგვჭირდეს, არც ამას ველოდებით. ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ მუზეუმს არაფერი დაეკარგოს და კერძო მფლობელის ხელში არსებული მიწა მას დროულად და უკლებლივ დაუბრუნდეს.

– მიწის გასხვისების შემდეგ შეეცვალა თუ არა სასახლეს მისამართი?

– სასახლის მისამართი ყოველთვის იყო გამსახურდას ქ. №1 და ცხადია, ყველა დოკუმენტსა თუ სხვადასხვა ხელშეკრულებაზე ამ მისამართს ვაფიქსირებდით. გაირკვა, რომ მიწის გასხვისების შემდეგ ჩვენი მისამართი შეცვლილა. საჯარო რეესტრში სწორედ შეცვლილი მისამართი იყო დაფიქსირებული. აღმოჩნდა, რომ მიწის გასხვისების შემდეგ ჩვენი მისამართი გამსახურდას ქ. №1-დ გადაკეთებულა, გასხვისებული მიწა კი გამსახურდას ქ. №1-ში ფიქსირდებოდა.

ჩვენ რაიმე განსახილველი საკითხისა თუ სხვადასხვა პრობლემის შესახებ ყოველთვის კულტურის სამინისტროს მივმართავდით. ახლაც მათი იმედი გვქონდა და მოხდა კიდევ მათგან დროული რეაგირება. როგორც უკვე მოგახსენეთ, იყო კიდევ ჩამოსული კულტურის მინისტრი და აქ მიმდინარე პროცესებში სამინისტრო აქტიურ რეჟიმში ჩაება. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და ეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემა ჩვენ სასიკეთოდ გადაწყდება.

ესაუბრა შორენა ღვინჯიანი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას შეხვედრა წარსულთან: ქართველი ჩუბინი ამერიკაში

XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, ახალი მექსიკის ტერიტორიაზე კოვბოი ბერნარდ ო'გორმანი ოქროს საბადოს წააწვდა, რომელიც აპაჩების ტომის პიკარილიას შტოს მიწაზე მდებარეობდა. საბადოს აღმოჩენის ამბავი გახსმურდა და "ოქროს ციხე-ციხელებაც" დაიწყო – ახალი მექსიკა ოქროსმაძიებლებით აივსო. ამ ხალხს არც ინდიელთა მიყენარე ტომები აშინებდა, არც უდაბნო, სადაც კაქტუსების გარდა, არაფერი ხარობდა. სწორედ ამ მიზეზთა გამო, ვაშინგტონის მესვეურებმა ახალი მექსიკის მხარეში ვერაფერი ვერ განავითარეს; ამიტომაც ო'გორმანის მიერ ოქროს საბადოს აღმოჩენამ თეთრ სახლში საყოველთაო სიხარული გამოიწვია – მთავრობამ მოხალისე ოქროსმაძიებელთა პარტიები თავადვე დააფინანსა: იქ ოქრო რომ ვერც იპოვონ, ახალ საცხოვრებელ ადგილს მაინც იშოვნიანო – ჩათვალეს ვაშინგტონში.

სწორედ ამ დროს, როდესაც ამერიკულ ქალაქებში პირზე ყველას ახალი მექსიკა და აპაჩების ოქროს საბადო ეკერა, ადგილობრივი საციკო დასახლება ბლომად იყენებდა ქართველი მოჯირითეები – როგორც ცნობილია, პირველად ამერიკაში ისინი 1893 წელს ჩავიდნენ და ბუფალო ბილის დასწი გამოდიოდნენ.

მოჯირითეთა უმეტესობა გურიიდან იყო, თუმცადა მათთან ერთად, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეთა მცხოვრებლებიც საკმაოდ იყვნენ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ვეროპასა და ამერიკაში ჩასულ ქართველ მოჯირითეთა შესახებ ამერიკაშიც და ჩვენთანაც უამრავჯერ დაწერილა. აშშ-ში ქართულ სათვისტომოს სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი – ამას ამერიკული ენციკლოპედიური გამოცემებიც ადასტურებენ.

1893 წლიდან ამერიკაში ქართველ მოჯირითეთა რამდენიმე ჯგუფი კი ჩავიდა, მაგრამ ამის თაობაზე დოკუმენტაცია არ არსებობს; რეისორმა ირაკლი მახარაძემ დაადგინა, რომ მოჯირითეების პირველ ჯგუფს ივანე მახარაძე ხელმძღვანელობდა, რომელსაც ამერიკელები "პრინცი" მეტსახელით უფრო იცნობდნენ.

როგორც წესი, ამერიკაშიც და ვეროპაშიც ქართველ მოჯირითეებს "კახაკებად" იხსენიებდნენ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის ვინაობა ჯერაც უცნობია. აქვე უნდა აღინ-

იშნოს ისიც, რომ მოჯირითეთა მნიშვნელოვანი ნაწილი 1905-1907 წლებში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო და, ალბათ, ამიტაც უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ ოკეანის გადასაღვრე მათგანმა სახელი კი შეიცვალა, თუმცადა ქართველობაზე უარი არასოდეს უთქვამს – ისინი ყოველთვის ამჟღავნებდნენ თავიანთი წარმომავლობით, ყველგან ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ქართველები იყვნენ და არა რუსი კახაკები.

1910 წელს, პიკარილია-აპაჩების მიწაზე ჩასულ ოქროსმაძიებელთა შორის ორი ქართველი ყოფილა, რომელთა ნამდვილი სახელები უცნობია. სხვა ოქროსმაძიებლები და ადგილობრივი აპაჩები მათ მეტსახელებით იცნობდნენ – ერთს, რომელიც გადმოცემით, ოდნავ კოჭლობდა, "კოჭლ ცხენს" ეძახდნენ, მეორეს კი ყოველად უცნაურად იხსენიებდნენ – "ის, ვინც კახაკი არ არის", რადგანაც ვერ იტანდა, თუ ვინმე "კახაკს" დაუძახებდა და ამის გამო ყოველთვის ჩხუბობდა.

სერჯიო ლიონეს ვერსიურებით ხომ ვინაა ვინ? იქ რომ სიტუაციები და ამბები აღწერილი, ისეთ ვითარებაში ცხოვრობდა ეს ორი ქართველი ოქროსმაძიებელი, ველურ დასავლეთში მაშინ ადამიანის უფლებებზე საუბარს ვინმე თუ გაბედავდა, "სმიტ-გესონის" ტყვიით აჩუქებდნენ. იგივე საშუალებით წყვეტდნენ ყველა სხვა პრობლემასაც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ვისაც იქ ცხოვრება სურდა, კარგი ჩუბინი ანუ მიხანში მსროლელი უნდა ყოფილიყო.

ველური დასავლეთი სწორედ მაგარი მსროლელებით იყო ცნობილი და გასული საუკუნის 10-იან წლებში არიზონის შტატის აპაჩის საგრაფოს შერბის ჯონათან ლარსონს აზრად მოუვიდა, მიხანში სროლის ჩემპიონატი გაემართა.

ჩემპიონატი მოუწყო და აპაჩის საგრაფოს სახელიც შეერთებულ შტატებში გახშირდა – ამერიკელები ხომ ძველთაგანვე იმას ტრადიციად იცნობდნენ, რომ მათი ეროვნული სპორტი მიხანში სროლა იყო. აპაჩის საგრაფოს პატარა დაბა ჩინდი (ნავაჰოს ინდიელები მას "ჭინილის" ეძახიან, მაგრამ ამერიკელები ხომ "ჭ"-ს ვერ ამბობენ) ერთი კვირის განმავლობაში ჩუბინების შეჯიბრები იქ მიხანში მსროლელი დასავლეთიდან შეიყარა იქ მიხანში მსროლელი ხალხი – თეთრები, შავკანიანები, ინდიელები და,

რად თქმა უნდა, ის ორი ქართველიც, რომელთა სახელები ამჟამად არაფერ იცის, მეტსახელები კი უკვე მოგახსენეთ.

ახლა კი, აქ კიდევ ერთი რამ უნდა ვთქვა – ამერიკელები იმთავითვე უბოდიშოდ ექცეოდნენ ინდიელებს, მაგრამ ეს უკანასკნელნიც ტოლს არ უდებდნენ: თუ თეთრები სოფელს გადაუწვავდნენ, ინდიელები რკინიგზის შპალებს აყრიდნენ, მატარებელს უსაფრდებოდნენ და მგზავრებს მუსრს ავლებდნენ.

საერთოდ, ხომ ვერცა – პატივს მგელს უფრო სცემენ, ვიდრე ძაღლს და დამარცხებულ კაცს კი შვიდობა არ უნდა უნდოდეს. არც ინდიელებს უნდოდათ მშვიდობა და იმდენი იბრძოდნენ, რომ მაინც მიაღწიეს მიხანს – საქართველოზე ოდნავ დიდი ტერიტორია დაიკაინეს და თავიანთი კანონებით იწყეს ცხოვრება. აპაჩების და ნავაჰოების რეზერვაცია აშშ-ში დღესაც არსებობს და იქ თეთრებს უნებართვოდ შესვლა ეკრძალებათ.

რეზერვაცია კი იმიტომაც ვახსენე, რომ იმ ჩემპიონატზე იქაური ჩუბინებიც იყვნენ და თუკი გახუთ "ნავაჰო თაიმზს" ვენდობით, ისე დაჩაგრეს ნარჩევ-ნარჩევი კოვბოები, რომ შერიფ ლარსონს სიცოცხლეც აღარ უნდოდა. ნატრობდა – ოხ, ნეტავ, მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს, ჩემიანების სირცხვილის ყურება ხომ აღარ მომიწევსო.

გახუთ "ვაშინგტონ პოსტის" ერთი ყურნალისტი კი, ჩუბინ ინდიელთა შემხედვარე, მეთავედ სვამდა ერთსა და იმავე კითხვას: ამათ სროლა როდის აქეთ ისწავლესო?

ჰოდა, სწორედ ამ დროს, გამოსულა ერთი ვინმე ჩოხოსანი, რომელსაც ახალი მექსიკის ოქროსმაძიებლები და ინდიელები ფრიად და ფრიად უცნაური მეტსახელით იცნობდნენ – "ის, ვინც კახაკი არ არის" და ოფიციალურად მოუთხოვია: აგერ მე და აგერ ჩემი იარაღი, მიმიშვით და მე შევეჯიბრებ ჩუბინობთ განთქმულ ინდიელს, სახელად მაიკლ "მესთატეხასო".

ლარსონმა ჯერ იკვნივლად შეათვალა თეთრჩოხოსანი "ის, ვინც კახაკი არ არის" და მერე დასტური დასცა. ქართველმა იმრო "სმიტ-გესონი", ამხედრდა ცხენზე და გააჭენა ასპარეზისკენ. პეროლდებმა ანუ გამომცხადებლებმა კი შეკრებილ ზღვა ხალხს ამცნეს – ახლა, პირადი მოთხოვნის საფუძველზე, თითქმის უკვე ჩემპიონ ინდიელს დაუპირისპირდება

"ის, ვინც კახაკი არ არის". თუ მოიგებს, მაშინ თავად გახდება ჩემპიონი და პრისხაც მიიღებს, ხოლო თუ წააგებს, მაიკლ "მესთატეხას" საბოლოოდ ვცნობთ გამარჯვებულად.

იმ ჩემპიონატზე კი, როგორც წესი, ათასგვარი ეშმაკური სამიზნე ყოფილა – მოძრავი, უძრავი, მფრინავი (მტრებს ააფრენდნენ და მონაწილეს უნდა მოერტყა) და ა.შ. მაიკლ "მესთატეხას" კი საუკეთესო მანქანებელი ჰქონდა: 100-დან 90 ქულა. ერთი სიტყვით, იმ ათმა ქულამ ქართველს საშუალება მისცა, რომ მოეგო და მოიგო კიდევ, თანაც სუფთად: 100-დან 100.

"კახაკურად ჩაქმული კაცი არამარტო კარგად ისროდა, არამედ, ცხენზე ჯიბითის გასაოცარ ხელეფებასაც ფლობდა და გამოსულა რომ დაასრულა, ჯილდოც მიიღო – "მარტინი ჰენრის" სისტემის კარაბინი და 1000 დოლარი. თოფს ემთხვავა და თავისთვის დაიტოვა, ხოლო 1000 დოლარი ინდიელ მაიკლ "მესთატეხას" გადასცა", – წერდა გახუთი "ნავაჰო თაიმზი".

ამ შემთხვევის გასახსენებლად ეს სურათი დაჩანა, სადაც თეთრჩოხოსანი "ის, ვინც კახაკი არ არის" შერიფის გვერდით დგას, სადაც უკან კი ბუმბულებით მოხილ მაიკლ "მესთატეხასაც" დალანდავთ.

მ. ლაბაძე




ჩოხოსანი ქართველი, ამერიკელი შერიფი, ტრადიციულსამოსიანი ინდიელები და მესთატეხასი. თეთრი ჩოხით – "ის, ვინც კახაკი არ არის".

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ამრია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიმდგება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



საქციალური შარვალი ბეებისთვის – დეპუტატის საჩუქარი კომოსეშუალებს

დასავლეთ სამყარო უკვე აღარ მალავს თავის ჭეშმარიტ მიზნებს – მორალური იერსახე დაუკარგოს ტრადიციული ღირებულებების პატივისცემულ ქვეყნებს და უსახურ ბრბოდ აქციოს აქაური მოსახლეობა. ამის შემდეგ სახელაქარგულ მოსახლეობას აღარც რელიგიური ღირებულებების შენარჩუნებაზე მოუწევს ზრუნვა და ტრადიციულ ფესვებსაც "უმტკივნეულოდ" მოსწყვეტა. სწორედ ამის გამო დაიბოძა უმოწყალოდ ნატოს მიერ დასავლეთ სამყაროს ერთ-ერთი მართლმადიდებლური ციხადელი სერბეთი, განადგურდა მართლმადიდებლური რელიგიური ძეგლები და რომ არა გაუტეხელი მოსახლეობის სასტიკი წინააღმდეგობა, სერბეთშიც არებდნენ გადაგვარებულე სამარცხნო და ამაზრხენი "გეი-აღლუმის" მოწყობას.

ახლაც, ვეროკავშირში გაწვერიანებაზე უკრაინის მიერ უარის თქმას დასავლეთის მოტრფიალეთა დიდი რისხვა მოჰყვა, მაგრამ, რატომღაც, არავინ თვალისწინებს იმას, რომ

მართლმადიდებელ ანუქა, რომელსაც ელვა შესაქარავი უკან მხარეს აქვს დატანილი. "ეს სრულყოფილი ჯინსებია – ელვა შესაქარავი წინაც აქვს და უკანაც და მისი "ფუფქურად" გამოყენება დროს დაუკარგავად შეიძლება", – განაცხადა მან.

დეპუტატი არ მიიჩნევს, რომ მისი საქციელი შეურაცხყოფლია. უფრო მეტიც, ლიტვის გეების ლიგაში დეპუტატმა ჯინსი საკუთარი ხელით მიიტანა, რითაც მათ მიმართ საკუთარ "გზრუნველობას" გაუსვა ხაზი.

ასე რომ, მხოლოდ ჭეშმარიტ ქართველებს არ გვეჩიხებებიან გადაგვარებულეები!



იუმორი

ძირითადად ქალი ახალგაზრდაა, შემდეგ ისევ ახალგაზრდა, შემდეგ ნაკლებად ახალგაზრდა, მერე ახალგაზრდულად გამოიყურება და ამასობაში კვდება. * * *

– თუ შეიძლება, ფული წინასწარ გადაიხადეთ! – ეუბნება ოფიციალური კლიენტს.
– რაშია საქმე?
– თქვენ სოკო შეუკეთეთ და, რა ვიცი, ამბობენ, ახლა სოკო საშიშიაო... * * *

– ღალატობდა ვეა ადამს? – ეკითხებიან სტუდენტს გამოცდაზე.
– რა თქმა უნდა.
– საიდან დაამტკიცებთ?
– თუ არ ღალატობდა, მაშინ ადამიანი მაიმუნისაგან როგორ წარმოიშვა? * * *

ერთ-ერთ ქართულ საჯარისო ქვედანაყოფში სერჟანტი მოახსენებს პოლკოვნიკს:
– დააჯილდოეთ კაპრალი. მან მთელი პოლკი გადაარჩინა სიკვდილს!
– როგორ?
– მზარეული მოკლა. * * *

– მამი, დღეს მანქანა მათხოვე, რა?
– ფეხები რალსთვის გჭირდება?
– ერთი – გაზისათვის, მეორე – მუხრუჭისათვის! * * *

– ჩემმა ქმარმა მითხრა, სანადიროდ მივედივარო.
– მერე, დაუჯერე, სულელეო?
– ცარიელი მოვიდა და დაუჯერებდი, აბა რას ვიზამდი?! * * *

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული**
სარედაქციო საბჭო: **სარედაქციო საბჭო: №01018002930**
234 - 32 - 95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოლოყაშვილი**
გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ტოპალია** 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: **ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, კლიმენტი შალია, ბივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (გალი)**

გახუთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე www.saqinform.ge